ალმა მატერ

უნივერსიტეტი

1 აპრილი, 2023 შაბათი, №2 (2244)

კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი რეგიონში კვლავ ლიდერია

Webometrics-ის 2023 წლის მონაცემების მიხედვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიო საუკეთესო უნივერსიტეტების 4%-ში (1467-ე ადგილი მსოფლიოს 35 038 უნივერსიტეტს შორის), ხოლო ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტების 9%-ში (560-ე ადგილი ევროპის 6 036 უნივერსიტეტს შორის) შევიდა, კავკასიის რეგიონში კი პირველ ადგილს იკავებს. კვლევაში საქართველოდან 64 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მონაწილეობდა. მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირება ევროპაში ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ესპანური ორგანიზაციის — Consejo Superior de Investigaciones Cientificas (CSI) ლაბორატორიის — Cybernetrics Lab ინიციატივით ხორციელდება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჯაბა სამუშიამ წარჩინებული სტუდენტები დააჯილდოვა

გვ. 2

ნომერში

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ამერიკული უნივერსიტეტის თანამშრომლობა — გვ. 2
- თსუ-სა და ტოკიოს მეტროპოლიტან უნივერსიტეტის თანამშრომლობის პერსპექტივები — გვ. 2
- აშშ-ის საელჩოს ატაშეს მარიო მონტოიას ფოტოგამოფენა „არნახული ამერიკა" — გვ. 2

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის სკოლა გაიხსნა — გვ. 3

გვ. 8-9

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის შესახებ სამი ტომი გამოიცემა — გვ. 5

- ეროვნულ შეჯიბრში გამარჯვებული თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები კლიენტთა კონსულტირების საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ემზადებიან — გვ. 9

ქართული და ევროპული ღვინის წარმოების რეგულაციების პირველი შედარებითსამართლებრივი კვლევა — გვ. 6

მაკა ნუცუბიძის ავტორობით „საქართველოს ღვინის სამართალი" პირველად მოხვდა საერთაშორისო გამოცემაში „Global Wine Law" — გვ. 7

გამოქვეყნდა სტატია: „შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის თავისებურებები საქართველოში (თბილისისა და ბათუმის მაგალითი)" — გვ. 10

სიახლე

- სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრი „პროექტების წერის ინტენსიურ სასწავლო კურსზე" მიღებას გამოაცხადებს — გვ. 4
- თსუ-ს მეცნიერები შუასაუკუნეების ლეჩხუმის კულტურულ მემკვიდრეობას შეისწავლიან — გვ. 13

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ამერიკული უნივერსიტეტის თანამშრომლობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯაბა სამუშია ტეხასის უნივერსიტეტის დალასში (აშშ) ეკონომიკის, პოლიტიკისა და პოლიტიკის მეცნიერებათა სკოლის დეკანს ჯენიფერ ჰოლმსსა და ვიცე პროვოსტს გლობალურ ურთიერთობებში, განათლების უმაღლესი სკოლის დეკანს, მოლეკულური ბიოლოგიის პროფესორს ხუან გონზალესს შეხვდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ტეხასის უნივერსიტეტმა დალასში (აშშ) ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი გრანტი მოიპოვეს. სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტი ითვალისწინებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერას, მათი კვლევითი და აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობას.

შეხვედრაზე თსუ-ს რექტორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა თსუ-ს სტრატეგიული პრიორიტეტია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაქსიმალურად ეცდება, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტის ფარგლებში ამერიკულ უნივერსიტეტებთან ურთიერთობა გრძელვადიან ურთიერთობად გადააქციოს.

ამერიკელი პარტნიორები ასევე შეხვდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს ნუნუ მიცკევიჩს, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს. შეხვედრების შემდეგ მათ განაცხადეს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტენსიურ თანამშრომლობას გეგმავენ.

მარტის დასაწყისში გაიმართა პირველი კოჰორტის შესარჩევი ინტერვიუები. მასში არა მხოლოდ თსუ-ს, არამედ სხვა საჯარო კვლევითი უნივერსიტეტების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ამერიკელი და თსუ-ელი ექსპერტები 11 აპლიკანტს გაესაუბრნენ. შერჩეული აპლიკანტების პირველი კოჰორტა ტეხასის უნივერსიტეტს 2023 წლის ივნის-ივლისში ეწვევა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

თსუ-სა და ტოკიოს მეტროპოლიტან უნივერსიტეტის თანამშრომლობის პერსპექტივები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ტოკიოს მეტროპოლიტან უნივერსიტეტს შორის მომავალ თანამშრომლობაზე ისაუბრეს თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ და ტოკიო მეტროპოლიტან უნივერსიტეტის პროფესორმა ჰიროტაკე მაედამ.

შეხვედრის მიზანი იყო თსუ-სა და ტოკიოს მეტროპოლიტან უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულების გაფორმება, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობების ორგანიზებაზე შეთანხმება.

ამ ეტაპზე სამი მიმართულებით მიმდინარეობს ხელშეკრულებებზე მუშაობა: უნივერსიტეტებს შორის ძირითადი მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამის ხელშეკრულება და სადოქტორო საფეხურზე ორმაგი ხელმძღვანელობის ხელშეკრულება.

ტოკიოს მეტროპოლიტან უნივერსიტეტის წარმომადგენელი, პროფესორი ჰიროტაკე მაედა არის ქართველოლოგი და ირანისტი. აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შემდეგი სემესტრიდან შეეძლება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

აშშ-ის საელჩოს ატაშეს მარიო მონტოიას ფოტოგამოფენა „არნახული ამერიკა“

თსუ-ში აშშ-ის საელჩოს ატაშეს მარიო მონტოიას ფოტოგამოფენა „არნახული ამერიკა“ გაიმართა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კელი დეგნანი დაესწრო.

„ჩვენი დახმარება ყოველთვის მიესადაგება იმ სურვილებს, რომელიც საქართველოს მოსახლეობას აქვს. ჩვენ მხარს გიჭერთ თქვენ, სტუდენტებს, ახალგაზრდებს, რადგან თქვენ ხართ ქვეყნის მომავალი, თქვენი აქტიურობა მნიშვნელოვანია საქართველოს მომავლისთვის“, — განაცხადა კელი დეგნანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას.

შეხვედრის დასასრულს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა თსუ-ს სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

ღონისძიებაზე თსუ-ს სტუდენტებს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ დაფინანსებული სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია საელჩოს საჯარო დიპლომატიის განყოფილების წარმომადგენელმა თეა კუჭუხიძემ მიაწოდა.

ჯაბა სამუშიამ წარჩინებული სტუდენტები დააჯილდოვა

1- გვ-დან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურების სტუდენტები 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის წარჩინებით დასრულებისთვის უნივერსიტეტის საიუბილეო მონეტებით დააჯილდოვა. ღონისძიებას ფაკულტეტების დეკანები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის დამაკავშირებელი ხიდი ქართულ და ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეს შორის. თქვენ უნდა აიღოთ ამ ქვეყნის სადავეები, თქვენ ხართ თაობა, რომელსაც დაეყრდნობა ქვეყანა; თაობა, რომელიც განათლებით, შემართებით, ცოდნით არის გამორჩეული. თქვენი მთავარი გამოწვევაა — მიიღოთ ისეთი ევროპული განათლება, რომელიც გამოადგება ქვეყანას“, — განაცხადა თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ სტუდენტებთან შეხვედრისას.

ჯაბა სამუშიას ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იქმნება სტუდენტური მხარდაჭერის პროგრამები, მათ შორის, საზაფხულო თუ ზამთრის სკოლები. „ამ პროგრამების მიზანია — მხარში დავუდგეთ ჩვენს სტუდენტებს, როგორც სწავლაში, ასევე სამეცნიერო საქმიანობაში“, — აღნიშნა რექტორმა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი დალი წაქაძე ერთ-ერთია იმ წარმატებულ სტუდენტთა შორის, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააჯილდოვა. მისი თქმით, უნივერსიტეტის ჯილდო არის არა მხოლოდ დაფასება მიღწეული წარმატებისთვის, არამედ დიდი მოტივაცია, რომელიც სტუდენტებს წაახალისებს წარმატებით გააგრძელონ სწავლა და სამშობლოსთვის სასიკეთო საქმეს ემსახურონ.

2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის წარჩინებით დასრულებისთვის დაჯილდოვდნენ: იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი **ელისაბედ აფაქიძე**, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი **მარიამ ბურჯანაძე**, მედიცინის ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი პროგრამის (ქართულენოვანი) სტუდენტი **ანა ღვინიაშვილი**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი **დალი წაქაძე**, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი **ეკატერინე ფიფია**, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი **რატი რამიშვილი**, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი **ანა ხუზმიაშვილი**, იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი **ლია აბლოთია**, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი **ქრისტინე ჟღენტი**, მედიცინის ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი **თათია გრატიაშვილი**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი **ანი ოთარაშვილი**, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი **გიორგი კორკოტაძე**, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი **თამარ მღებრიშვილი**, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი **ნატო ლაღიძე**.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ᲖᲣᲡᲢ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

2022 წლის 9 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაარსდა „ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (ზსმ) სკოლა“, რომელიც უფასოა და მე-10, მე-11 და მე-12 კლასელებისთვის არის განკუთვნილი – რეალურად აღდგენილ იქნა თსუ-ში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებებით არსებული მრავალწლიანი გამოცდილების მქონე საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო საქმიანობის ტრადიცია (მაგალითად, ძველი ფიზიკა-მათემატიკის სკოლა, ნორჩ ტექნიკოსთა სკოლა, ნორჩ ქიმიკოსთა სკოლა და ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ გაკვეთილები დეკემბრის თვიდან უკვე ტარდება და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მოუსმინონ უნივერსიტეტის პროფესორებსა და დარგის ცნობილ მეცნიერებს ფიზიკაში, მათემატიკაში, ბიოლოგიაში, ქიმიასა და გეოგრაფიაში.

ფაკულტეტის საბჭოს მიერ დაარსებული ზსმ სკოლის მიზნებია: „საშუალო სკოლის მოსწავლეებში ინტერესის გაღვივება-გაღრმავება, ცოდნის შეძენა და განვითარება, თანამედროვე დარგობრივი სტანდარტის აზროვნებითი კულტურისა და ჩვევების გამომუშავება, თსუ-ში მოქმედ თანამედროვე სამეცნიერო კვლევით ჯგუფებთან და წამყვან აკადემიურ ცენტრებთან გაცნობა-დაახლოება და შეძლებისდაგვარად დაკავშირება. ზსმ სკოლა მოსწავლეებს შეუწყობს ხელს მომავალში გახდნენ დაინტერესებული და მოტივირებული არჩევანის მქონე სტუდენტები და შემდგომში თავისი საქმის პროფესიონალები“.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – რა გახდა საფუძველი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დაფუძნებისა? რამდენად შეუწყობს იგი ხელს მოსწავლეთა დაინტერესებას და რა შედეგებს აჩვენებს უკვე ორთვიანი გამოცდილება? ამ საკითხებზე სასაუბროდ გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ აპირებს მოუსმინოს პროექტში ჩართული მიმართულებების პროფესორებს და დისკუსია გამართოს პრობლემებზე, რომელიც ფაკულტეტის და თითოეული დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის წინაშე განსაკუთრებით მას შემდეგ გამოიკვეთა, რაც სკოლებში გაუქმდა გამოსაშვები გამოცდები, ხოლო მისაღები გამოცდებიდან ამოიღეს საბუნებისმეტყველო საგნები.

პირველ ეტაპზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დაარსების იდეის ინიციატორებიდან ფიზიკოსები მოვიწვიეთ.

რა პრობლემები დგას ფიზიკის სწავლების მიმართულებით და როგორ ხედავენ მათი გადაჭრის გზებს? გვესაუბრებიან: აკადემიკოსი **გიორგი ჩაგელიშვილი**, თსუ-ს პროფესორები **ნანა შათაშვილი**, **ალექსანდრე შენგელაია** და **თემურ ნადარეიშვილი**.

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ“: რატომ გახდა აუცილებელი ამ ეტაპზე თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის გახსნა, რა უძღოდა წინ მისი დაარსების იდეას?

ᲜᲐᲜᲐ ᲨᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ: საბუნებისმეტყველო საგნები მისაღები გამოცდებიდან პირველად მინისტრ ლომაიას რეფორმის დროს ამოიღეს და გარკვეული წლები დასჭირდა იმას, რომ ეს საგნები სკოლის გამოსაშვებ და მისაღებ გამოცდებზე ჩასმულიყო. შემდგომ, დამატებით, კიდევ 7-8 წელი დაგვჭირდა, რათა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე მოტივირებულ ჩამბარებელთა რიცხვი გაზრდილიყო, ამ დროისათვის სახელმწიფოს დაინტერესება და მხარდაჭერაც გამოიკვეთა. იმდენად რთული მდგომარეობა გვქონდა სკოლებში, რომ იმ 200 ბავშვიდან, რომელსაც, მაგალითად, ფიზიკის ჩაბარება სურდა, ნახევარი თუ გადალახავდა ზღვარს. ნელ-ნელა, 800 ბავშვზე რომ ავედით ფიზიკაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით (მოგეხსენებათ, ფიზიკის სწავლება სკოლაში ყოველთვის რთული იყო!), სწორედ მაშინ გამოვიდა მინისტრ ბატიაშვილის ბრძანება და საბუნებისმეტყველო საგნები კვლავ ამოიღეს მისაღები გამოცდებიდან (!?). ამან გამოიწვია ის, რომ ამ საგნების მნიშვნელობა ისევ დაიკარგა, რადგან აღარც სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე და აღარც მისაღებზე ფიზიკა (როგორც სავალდებულო საგანი) აღარ ბარდებოდა. მსგავსი სიტუაცია იყო ბიოლოგიის, ქიმიის, გეოგრაფიის – ზოგადად, საბუნებისმეტყველო საგნების შემთხვევაშიც. მხოლოდ მათემატიკა დარჩა და ისიც, როგორც აგვიხსნეს, იმიტომ, რომ ეს სტუდენტებს შიდა მობილობაში დაეხმარებოდათ. შესაბამისად, ჩვენთან ხშირად აბარებენ სტუდენტები მოტივაციისა და ცოდნის გარეშე – ის მოსწავლეები, რომლებსაც რეალურად სხვა სპეციალობაზე, თითქოს უფრო კონიუქტურულზე, სურდათ ამ ერთი საგნით (მათემატიკით) ჩაბარება და იქ ვერ მოხვდნენ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ როდესაც ფიზიკა ბარდებოდა, იმდენად კარგი მოსწავლეები მოდიოდნენ, რომ წინმსწრები ჯგუფიც კი გავაკეთეთ – გამოვყავით ძლიერი სტუდენტები, რომლებმაც ფიზიკა იცოდნენ და დაჩქარებული გეგმით ვასწავლიდით, რათა ინტერესი არ დაკარგვოდათ პირველივე სემესტრში. ახლა ეს ყველაფერი ისევ წყალში ჩაიყარა და დავდექით ურთულესი რეალობის წინაშე – უნივერსიტეტში ვასწავლით სტუდენტს, რომელსაც საბუნებისმეტყველო საგნების, ჩვენს შემთხვევაში კი ფიზიკის ელემენტარული ცოდნა არ აქვს. ამიტომ გადავწყვიტეთ, სკოლის მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო საგნებისადმი ინტერესის გაღვივებისა და თანამედროვე აზროვნებითი კულტურის ჩამოყალიბების მიზნით რაღაც ღონისძიება გაგვეტარებინა.

საბჭოთა კავშირის პერიოდში და 2005 წლამდე უნივერსიტეტში არსებობდა ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, რომელშიც ჩვენი პროფესურა ასწავლიდა და ფაკულტეტზეც ძირითადად ამ სკოლადამთავრებული მოსწავლეები ირიცხებოდნენ. ჩვენს ფაკულტეტზე – ბიოლოგიისა და ფიზიკის მიმართულებას – 3 წლის წინ უკვე გვსურდა მსგავსი სკოლის დაარსება, თუმცა პანდემია დაიწყო და ეს ვერ მოხერხდა. ზაფხულში ბატონი გოგი, ბატონი ალეკო და მე შევიკრიბეთ, შემდგომში პროფესორები დიანა ძიძიგური და ომარ ფურთუხიაც შემოგვიერთდნენ და გადავწყვიტეთ, რომ აუცილებელი იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების – ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის და მათემატიკის სკოლის გახსნა. რა თქმა უნდა, ეს რთულია, ვინაიდან პროფესორებს უნდა სთხოვო, რომ დამატებით, უფასოდ, საღამოობით ასწავლონ სკოლის მოსწავლეებს. ამ იდეით მივედით დეკანთან, რომელმაც მხარი დაგვიჭირა და, თავის მხრივ, შემოგვთავაზა გეოგრაფიის დამატებაც და მინიმალური დაფინანსების მხარდაჭერაც. ეს იდეა ყველა მიმართულების დეპარტამენტის ხელმძღვანელს მოეწონა და ფაკულტეტის საბჭომაც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის გახსნის დადგენილება ერთხმად მიიღო.

ნანა შათაშვილი

უნდა აღინიშნოს, რომ ზსმ სკოლა ემსახურება ცოდნის შეძენასა და გაღრმავებას, აზროვნების სწორი კულტურის ჩამოყალიბებას და, ზოგადად, სკოლის მოსწავლეების სწორ გზაზე დაყენებას თანამედროვე გამოწვევებთან მიმართებაში.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲐᲒᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ: აზროვნების კულტურასთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ მეოცე საუკუნის ბოლოდან დასავლეთის მეტნაკლებად ღირებულ უნივერსიტეტებში ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზეც ისწავლება თანამედროვე ბუნებისმეტყველების საფუძვლები და მისი გავლა აუცილებელიც კი გახდა. ჰუმანიტარული კვლევის ობიექტი ურთულესია, არ მარტივდება, ფიზიკის სპეციფიკა კი ის არის, რომ მარტივდება და კვლევა თვალნათელ ფორმულამდე დაგყავს. შესასწავლი ობიექტების სირთულის გამო ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ადამიანები შეჩვეულები არიან ემპირიულ, ფენომენოლოგიურ, ან, სულაც, მოსაზრებებით და არა არსებით, სიღრმისეულ აზროვნებას, რომელსაც ფიზიკა ავითარებს. ამიტომაც ისწავლებოდა და ისწავლება თანამედროვე უნივერსიტეტებში ჰუმანიტარებისთვის ეს საგანი, რათა საბუნებისმეტყველო აზროვნების კულტურა მეტნაკლებად გათავისებულ იქნას ჰუმანიტარების მიერ. საჭიროა მეცნიერმა საკუთარი მიდგომა ამ განსხვავებული აზროვნების სპეციფიკით განავითაროს. ასეთი საყოველთაოდ მიღებული ტენდენციების პირობებში საქართველოში მინისტრ ბატიაშვილის ზემოხსენებული ბრძანება, რომელმაც, ფაქტობრივად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ჩვენი მოსწავლეების ცნობიერებიდან „წაშალა“, მხოლოდ მავნებლობად შეიძლება შეფასდეს!

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ“: ამ ინფორმაციის გავრცელება ბუნებრივად გააჩენს კითხვას – ზსმ სკოლა მისაღები გამოცდისთვის მოამზადებს აბიტურიენტებს თუ იმ ახალგაზრდების ინტერესს გააღრმავებს, ვისაც ისედაც უყვარს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები?

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ: ეს სკოლა არ შეასრულებს უბრალოდ რეპეტიტორის ფუნქციას. სკოლის მიზანი, პირველ რიგში, აზროვნების სწავლებაა, ვინაიდან, მაგალითად, ფიზიკა პირველ რიგში იმ პროცესის დანახვა და გააზრებაა, რომლის აღწერაც შენ გინდა. ამას სკოლაში ხშირად ვერ ასწავლიან კარგი მასწავლებლებიც კი. ამიტომ საჭიროა – უნივერსიტეტის პროფესურამ სულ სხვა დონეზე დაანახოს ახალგაზრდას საგანი. თუ ადამიანმა ისწავლა ასეთი აზროვნება, შემდეგ მას არც ფორმულები გაუჭირდება და ყველაფერს გაართმევს თავს. ჩვენ ამ საფუძვლის ჩაყრას ვუწყობთ ხელს.

იმედი გვაქვს, რომ აქ მოვლენ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც ჯერ არ უყვართ ფიზიკა, მაგრამ აინტერესებთ და სკოლაში ვერ იკმაყოფილებენ ამ ინტერესს. ამიტომ, მგონია, რომ ისეთ მოსწავლეებსაც მოვიზიდავთ, რომლებსაც აქამდე არ ჰქონიათ დიდი ინტერესი საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ. ამ მოსწავლეებს ზსმ სკოლაში შეუძლიათ რამდენიმე საგანი აირჩიონ ერთად. ასეთი სკოლა, ასეთი მიდგომა და კომპეტენცია ამჟამად არ არსებობს საქართველოში.

ᲜᲐᲜᲐ ᲨᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ძალიან ბევრი ვიწვალეთ, რომ ბიოლოგია, ქიმია, გეოგრაფია და ფიზიკა დაგვებრუნებინა მისაღებ გამოცდებზე. თან არა მხოლოდ თითოეულ ამ მიმართულებაზე, არამედ სხვა სპეციალობებზეც ბარდება ეს საგნები და ჩასარიცხი ადგილების 10%-ზე სავალდებულოა. შესაბამისად, ამ დარგებს სკოლაში მეტი წონა მიეცათ და უფრო მომზადებული აბიტურიენტები მოვლენ დროთა განმავლობაში; სამწუხაროდ,ერთ წელიწადში ეს არ გამოსწორდება და ისევ რამდენიმე წელი დაგვჭირდება რეალური ეფექტის დასანახად.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲐᲒᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იყოს ფლაგმანი, მიმართულების მიმცემი, როდესაც პრობლემატური საკითხი გამოიკვეთება. ჩვენი ზსმ სკოლა იქნება კონკურენტული და კონსტრუქციულ კონკურენციაში არაფერი ცუდი არაა, შესაძლოა სხვა სკოლებში გააუმჯობესონ კიდეც ჩვენი მეთოდები.

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ“: აქ ითქვა, რომ ზსმ სკოლა, ძირითადად, თბილისის და მისი შემოგარენის სკოლის მოსწავლეებს მოემსახურება. რა უნდა ქნან რეგიონის სკოლების მოსწავლეებმა, რომლებსაც ამ საგნებისადმი ინტერესი აქვთ, ხომ არ ზღუდავს ეს მათ უფლებებს?

ᲜᲐᲜᲐ ᲨᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ: დიახ, სამწუხაროდ, თბილისით და შემოგარენით (რუსთავი, გარდაბანი და ა.შ.) შემოვიფარგლებით და ამას აქვს ობიექტური მიზეზები – რეგიონებში გასვლას სჭირდება თანხები და დრო. ჩვენი ფაკულტეტის დეკანმა ბიუჯეტიდან მინიმალური თანხა გამოყო ამ პროექტისთვის და იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც მარტო ენთუზიაზმით ვერ ამუშავებ, მაგალითად, ბიოლოგებს და ქიმიკოსებს გაკვეთილებზე ლაბორანტების შეყვანაც დასჭირდებათ, რომლებსაც ძალიან მცირე ხელფასები აქვთ და რთულია მათ უფასოდ დამატებითი სამუშაოს ჩატარება მოსთხოვო. დიდი ნაწილი, მათ შორის, პროფესორები უხელფასოდ ვმუშაობთ. ამ მოსწავლეებს ლაბორატორიებს ვაჩვენებთ, გეოგრაფები კი ველზე გაიყვანენ – ისინი მოქმედებაში ნახავენ თანამედროვე მეცნიერებას. და რაც მთავარია, ამ სკოლის იდეა სისტემური სწავლება, ადგილზე ინტერაქცია, დაფასთან გამოსვლა და გაკვეთილზე დავალების შესრულებაა, რაც ვერ განხორციელდება დისტანციურად და სისტემურად რეგიონებში მხოლოდ იშვიათად გასვლისას. ეს კულტურა და სტანდარტი სწავლებისა, სამწუხაროდ, თითქმის დაკარგულია, განსაკუთრებით პანდემიის წლების განმავლობაში მოსწავლეთა დიდი ნაწილი მსმენელებად გადაიქცნენ და აქტიური ჩართვა, დამოუკიდებელი მუშაობა, ასევე ჯგუფში მუშაობა, მასწავლებელთან ინტერაქცია თითქმის დავიწყებულია. არადა, სწორედ ასეთი მუშაობის სტანდარტი ემსახურება ზსმ სკოლის ფუნქციონირების ძირითად ამოცანას.

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ“: ხომ არ გიფიქრიათ, რომ რეგიონებისთვის გაკვეთილები ონლაინ ჩატარებულიყო?

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით, პანდემიის დროს, ხალხი შეეჩვია მსმენელობას – ანუ ჩვენი ამ წლების გამოცდილებით, მეორე მხარე – სტუდენტები, პრაქტიკულად აღარ ერთვებოდნენ სწავლების პროცესში

ᲒᲒ. 4

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ „ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲙᲣᲠᲡᲖᲔ“ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრი „პროექტების წერის ინტენსიურ სასწავლო კურსზე“ მიღებას გამოაცხადებს. ცენტრი „პროექტების წერის ინტენსიურ სასწავლო კურსს“ ყოველსემესტრულად ატარებს, თუმცა, ამჯერად, კურსი უშუალოდ თსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების კონკურსში განაცხადების მიღებამდე ჩატარდება.

ტრენინგები მარტის ბოლოსა და აპრილის პირველი კვირის პერიოდშია დაგეგმილი. პროექტი თსუ-ს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის კვლევითი პროექტის წერის უნარების შესწავლას ითვალისწინებს, რაც როგორც საუნივერსიტეტო პროექტების დაფინანსების, ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობისა და წარმატების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

გიორგი გრიგოლაშვილი

„მოგეხსენებათ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეც ვარ. 2023 წლის სტუდენტური პროექტების დაფინანსების პირველ კონკურსზე უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის განაცხადი შემოვიდა. ცხადია, იყო გამორჩეული პროექტები, რომლებიც დაფინანსდა, თუმცა, საერთო ხარვეზი, რომელიც უმრავლესობას ახასიათებდა, იყო პროექტის ტექნიკური თვალსაზრისით გაუმართაობა. სტუდენტური პროექტების დაფინანსებისას უნივერსიტეტის მიზანია – წარმოდგენილი იდეა კონკრეტულ შედეგზე იყოს ორიენტირებული, რაც სასარგებლოა როგორც სტუდენტისთვის, ისე, ზოგადად, უნივერსიტეტისთვის, თუმცა იმისათვის, რომ იდეა აქციო რეალობად, აუცილებელია პროექტის წერის ცოდნა. ვვარაუდობთ, რომ ბევრი სტუდენტი შესაძლოა ამ უნარების არქონის გამო ვერ მონაწილეობს კონკურსში. სწორედ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზეა ორიენტირებული ჩვენი ტრენინგ-კურსი, 15 აპრილს დაიწყება საკონკურსო განაცხადების მიღების მეორე ეტაპი და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ კონკურსში მონაწილეობის მიღებამდე პროექტის წერის სასწავლო კურსის გავლა. კვოტა შეზღუდული არ არის. აქვე აღვნიშნავ, რომ ის სტუდენტები, რომლებმაც აღნიშნული ტრენინგები წინა წლების განმავლობაში გაიარეს, დღეს უკვე არა ერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის წერენ პროექტებს“, – განმარტავს თსუ-ს სტუდენტური სერვისებისა და კარიერული ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი გრიგოლაშვილი.

ᲖᲣᲡᲢ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲛᲔ-3 ᲒᲕ-ᲓᲐᲜ

– ადგილზე არ ხდებოდა მათთან მუშაობა, ინტერაქცია. და ახლა, აუდიტორიაში მობრუნების შემდეგ, უკვე ლექციაზე კითხვასაც არ სვამენ, რაც ადრე არასდროს მომხდარა, ჩვენი დარგებისათვის კი ეს დამღუპველია. ფიზიკას სჭირდება, რომ ადგილზევე დაამუშაო საკითხი და ბავშვმა აუდიტორიაში ამოხსნას ამოცანები, ისევე, როგორც გაარჩიოს საშინაო დავალება, მასწავლებელს გაკვეთილზევე დაუსვას კითხვები და მისგან მიიღოს პასუხები. შესაბამისად, აქ ისევ ონლაინ სწავლების დაწყება უაზრო შრომა იქნება. იმასაც ხომ მნიშვნელობა აქვს, ვინ ასწავლის – ჩვენი სკოლის ლექტორები ხომ გამოჩენილი მოქმედი მეცნიერებია, ანუ ვინც უშუალოდ ქმნის მეცნიერებას და ამიტომ მოსწავლეებმა, შესაძლოა, ისეთი რამ და იმ სიღრმით მოისმინონ მეცადინეობებზე, რაც ჩვეულებრივ სკოლაში გამორიცხულია და რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს მათი მომავალი პროფესიის სწორ არჩევას! (მაგალითად, მე დავესწარი ბატონი გოგის გაკვეთილს და აღფთოვანებული ვარ, თუ როგორ ახსნა მან პასკალის და არქიმედეს კანონები!)

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲐᲒᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ახლა ისეთი მოსწავლეები აბარებენ, რომლებმაც ფიზიკის ანბანი არ იციან, შესაბამისი აზროვნების ჩვევები განვითარებული არ აქვთ და შეუძლებელია მაღალ დონეზე შეისწავლონ საგანი. ამ საწყისების სწავლება უნივერსიტეტის ლექტორებს უხდებათ. ანუ, უნივერსიტეტში სწავლების საწყისი კურსები ეთმობა სკოლის პროგრამის ათვისებას და ელემენტარული ჩვევების გამომუშავებას, რაც, ბუნებრივია, ნაკლებად ეფექტურს ხდის უნივერსიტეტში გატარებულ წლებს. თვალნათელია, რომ მოსწავლემ ადრეული – სკოლის ასაკიდან მიიღოს ეს ცოდნა.

ᲜᲐᲜᲐ ᲨᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ: მეტად რომ გაიშალოს ეს მოძრაობა, ამას ბიუჯეტი სჭირდება, ამიტომაც სამინისტროს მხარდაჭერა აუცილებელია.

ჩვენ გვაქვს რექტორის, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას მხარდაჭერაც, მან მიმართა სამინისტროს შესაბამისი წერილით და ხვალ-ზეგ ეს პროექტი, იმედი გვაქვს, გაფართოვდება და იგივე იდეის განხორციელებაში რეგიონებიც ჩაეთვებიან. უბრალოდ, ეს პირველი ეტაპია და თავიდანვე გლობალურად ვერ დავიწყებდით. არადა, თუ არ დავიწყეთ, არაფერი გამოვა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲐᲒᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ფაქტობრივად, როგორც წარმომიდგენია, ეს პროექტი დროში გაწელილი იქნება. ჩვენ ვეცდებით, მედიასთანაც აქტიურად ვითანამშრომლოთ და თანმიმდევრულად ვაჩვენოთ, როგორ მიდის პროექტი. ის, რასაც ახლა ვაკეთებთ, სატესტო რეჟიმია, ამ ფაზის გარეშე პროექტი ვერ ჩამოყალიბდება. ამგვარად დავადგენთ, როგორი ფორმა სჯობს დღევანდელ პირობებში. არსებული ფორმა იდეალური არ არის, მაგრამ აუცილებლად უნდა გაგვევლო ეს ფაზა. ეს უბრალოდ ლოკალური ინიციატივა არაა, ეს არის იმ საშინელ მდგომარეობაზე გამოხმაურება, რომელიც გაჩნდა ქვეყანაში განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფიზიკა და სხვა საბუნებისმეტყველო საგნები მისაღები გამოცდებიდან ისევ ამოიღეს.

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ“: თქვენ ახსენეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საჯარო სკოლები. ამ კუთხით რა ჩართულობაა საჭირო, სამინისტროს რა დახმარების გაწევა შეუძლია?

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲐᲒᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ: დიახ, აუცილებელია პროექტში სამინისტროს ჩართულობა, რათა სამინისტრომ, თავის მხრივ, მასწავლებლები ჩართოს და ერთობლივად ვიმუშაოთ სკოლასთან და სკოლის მასწავლებლებთან, ვინაიდან ისინი მოსწავლეებს განსხვავებულად უხსნიან თემებს. შესაძლოა, მასწავლებლებთან ერთად ერთობლივი განსჯის ჩატარება, თუ როგორ სჯობს მასალის ახსნა, როგორ უნდა შევავსოთ ერთმანეთი. ეს საჭიროა, რათა კოორდინაციაში ვიყოთ პედაგოგებთან. გარდა ამისა, ბავშვებს სუფთა ენთუზიაზმი არ ჰყოფნით, ამიტომ, ისეთი ფორმა უნდა მოიძებნოს, რომ აქ სიარული და მასწავლებელთან ურთიერთობა შეთანხმებული იყოს, რათა მოსწავლე მიხვდეს, რომ აქაც მისთვის კეთდება საქმე, მოსწავლე მხოლოდ მსმენელი რომ არ იყოს. ამიტომაა საჭირო, რომ უკვე ივნისიდან სამინისტრო ჩაერთოს პროექტში. სწორედ ივნისში ვგეგმავთ შეხვედრას მასწავლებლებთან სამინისტროს ეგიდით და ვიმსჯელებთ, როგორი მიდგომა სჯობს, ისინიც გაგვიზიარებენ საკუთარ შეხედულებებს.

ᲜᲐᲜᲐ ᲨᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ფაკულტეტთან არსებულმა „ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლამ“ ფუნქციონირება 1 დეკემბერს დაიწყო, თუმცა ჯერ საბოლოო ფორმა არ აქვს მიღებული. სამინისტრო უკვე დაგვეხმარა – რექტორის წერილის საფუძველზე ინფორმაცია მიაწოდა სკოლებს და ასე მოვიდნენ მოსწავლეები პირველ გასაუბრებაზე. ისინი თბილისიდან, რუსთავიდან და გარდაბნიდან არიან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ცოცხალი ურთიერთობა. ვფიქრობთ, თუ კარგად გამოგვივიდა ეს წამოწყება, სხვა უნივერსიტეტებიც დააარსებენასეთივე სკოლებს სხვა ქალაქებში – ბათუმში, ქუთაისში და ა.შ.

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ“: რადგან სკოლა 1 დეკემბრიდან ფუნქციონირებს, გარკვეული დასკვნების გაკეთება ალბათ უკვე შესაძლებელია. რა შეგიძლიათ თქვათ – რამდენად დაინტერესდნენ ისინი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით?

ᲜᲐᲜᲐ ᲨᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ: სწავლა უფასოა, მოსწავლეები ნებაყოფლობით მოდიან. მასწავლებლებთანაც ვეცდებით კომუნიკაციას, მეთოდების შეთანხმებას. ერთ-ერთმა ჩვენმა კურსდამთავრებულმა, რომელიც სკოლაში ასწავლის, მოსწავლეები გამოაგზავნა და შემდგომში გვითხრა: ბავშვები თქვენგან რომ მოდიან, მერე გაკვეთილზე ვარჩევთ იმას, რაც თქვენთან ისწავლესო, რაც, ცხადია, უკვე კარგი ტენდენციაა!

მოსწავლეთათვის გაკვეთილები ტარდება კვირაში ორჯერ თითოეულ საგანში. ამ ერთი წლის შემდეგ ძველ მოსწავლეებს კვირაში ერთხელ გავუგრძელებთ, წყვეტა რომ არ იყოს საშუალო სკოლის დამთავრებამდე; ახლებს კი ისევ ორჯერ ჩაუტარდებათ მეცადინეობები.

აქ ისიცაა მნიშვნელოვანი, რომ ამ მოსწავლეებს დავუთმეთ საუკეთესო აუდიტორიები. სპეციალურად თსუ-ს მეორე კორპუსი ავირჩიეთ, რათა მისაწვდომად ყოფილიყო ადვილი და მათთვის მგზავრობაც უფრო უსაფრთხო იქნება. წიგნების მოპოვებაშიც ვეხმარებით, ფაკულტეტმა e-learning-ზეც გამოუყო ადგილი. უკვე აქტიურად დადიან და ჩვენც მოგვწონს ეს მოსწავლეები.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ: მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენი მოტივაცია, უნივერსიტეტის მოტივაცია არის – უფრო მეტი უკეთესად მომზადებული და მოტივირებული სტუდენტის მიღება!

* * *

დებულების მიხედვით, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლა ფუნქციონირებს თსუ-ს მეორე კორპუსში განთავსებულ აუდიტორიებში; გამოყენებულია ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მეცადინეობებს ატარებენ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ლაბორატორიების წამყვანი სპეციალისტები და თსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების გამოცდილი მკვლევრები, რომლებიც საქართველოში აღნიშნულ დარგებში ტრადიციების გამგრძელებლები/განმავითარებლები არიან და/ან ახალი მიმართულებების დამფუძნებლებად ითვლებიან.

ზსმ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და სწავლების პროცესის დეტალები შემდეგი წლებისათვის უფრო დაკონკრეტდება და დაიხვეწება:

- თითოეული მიმართულებით შედგება თითო სასწავლო ჯგუფი (მიზანშეწონილია, მაქსიმუმ, 20 მოსწავლის შემადგენლობით) სკოლის X-XII კლასებიდან;
- შერჩევა მოხდება გასაუბრების გზით, წინასწარ გამოცხადებულ დღეს, შესარჩევი კომისიის მიერ;
- მოსწავლეების შერჩევა და სწავლება დაიწყება შემოდგომის სემესტრის დასაწყისში;
- სწავლების პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც სასკოლო მასალა, ასევე დარგების თანამედროვე მიღწევები;
- განხორციელდება ლაბორატორიებსა და კვლევით ცენტრებში სამუშაო ვიზიტები, გეოგრაფიული გარემოს სასწავლო-საველე გაცნობა/გასვლა, გარკვეული სიხშირით/ხანგრძლივობით.
- თითოეულ საგანში ჩატარდება კვირაში 2 მეცადინეობა 1.5 საათის ხანგრძლივობით წინასწარ გაწერილი ცხრილის მიხედვით, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს;
- საკლასო მეცადინეობები ჩატარდება დღის 17.00-საათიდან 20.00-საათამდე, დღეში 2 საგნის შეთავაზებით.
- თითოეულ მოსწავლეს დაინტერესების შემთხვევაში ექნება ერთ ან რამდენიმე საგანზე სწავლის შესაძლებლობა, ცხრილი ამას გაითვალისწინებს.
- მეცადინეობები ჩატარდება ინტერაქციული მეთოდით; სწავლებისას განხორციელდება გამოკითხვები და ცოდნის შემოწმება წინასწარი გაწერილი სიხშირით;
- სისტემატური გაცდენის ან დავალებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსწავლე გაირიცხება სკოლიდან;
- ცოდნის შემოწმების დადებითი შედეგების შემთხვევაში სკოლაში სწავლის ბოლოს გაიცემა შესაბამისი დამადასტურებელი სერტიფიკატი.
- სკოლას ექნება გამოყოფილი პორტალი ფაკულტეტის ელექტრონული სწავლების ვებგვერდზე მასალების განსათავსებლად.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ აგრძელებს დისკუსიას აღნიშნულ თემაზე და შემდეგ ნომრებში სკოლის სხვა მიმართულებების პროფესორ-მასწავლებლების მოსაზრებებსაც შემოგთავაზებთ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲛᲘ ᲢᲝᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ

ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲯᲣᲚᲘᲐ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების 2021 წლის კონკურსის გამარჯვებული პროექტის – „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ – სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომელიც თსუ-ს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო გრანტის ფარგლებში პირველად მოეწყო. კონფერენცია მიეძღვნა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 105-ე წლისთავს.

პროექტში ჩართულ მკვლევართა საქმიანობა ითვალისწინებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის შესახებ სამი ტომის გამოცემას მომავალი წლის დასაწყისისთვის.

როგორც პროექტის მონაწილემ და კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა ბონდო კუპატაძემ განაცხადა, პროექტის – „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ – ფარგლებში გამოიცემა ქართულენოვანი მონოგრაფიის 2 ტომი და ერთი ტომი – ინგლისურენოვანი ვერსია, სადაც შეტანილი იქნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრული ისტორია.

„კონფერენციის მთავარი იდეაა – ვაჩვენოთ საზოგადოებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძირითადი პრინციპები, ანუ როგორი ტიპის სახელმწიფოს აშენებდნენ საქართველოს პირველი რესპუბლიკის მესვეურნი სხვადასხვა მიმართულებით – ეს იქნებოდა სოციალური პოლიტიკა, არმიის მშენებლობა, კულტურული პოლიტიკა და ა.შ. ყველა ინფორმაცია, საბოლოო ჯამში, აისახება ჩვენს სამ ტომეულში 2024 წლის დასაწყისისთვის. ანუ, როგორც მოგახსენეთ, ისტორიოგრაფიაში უკვე არსებული მასალის, საარქივო თუ სხვა ტიპის წყაროების გამოყენებით დაიდება ფუნდამენტური კვლევა. ჩემი დღევანდელი მოხსენება კი შეეხება სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას და სეკულარიზაციის პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტა იმ პერიოდში“, – განაცხადა კონფერენციის ორგანიზატორმა, პროექტის მონაწილემ ᲑᲝᲜᲓᲝ ᲙᲣᲞᲐᲢᲐᲫᲔ.

ჩვენთან საუბარში თსუ-ს პროფესორმა დიმიტრი შველიძემ განაცხადა: „ჩემთან ერთად პროფესორებმა – ბონდო კუპატაძემ, მიხეილ ბახტაძემ და დოქტორანტებმა – სალომე ჭანტურიძემ, ირაკლი ირემაძემ – აი, ამ პატარა ჯგუფმა მოიპოვა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი. ჩვენი მიზანია საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორია შევისწავლოთ თავიდან ბოლომდე, ყოვლის მომცველად: სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, პოლიტიკური პარტიები, საგარეო პოლიტიკა, საკანონმდებლო საქმიანობა, სპორტი, განათლება... ერთი სიტყვით, ყველაფერი!

12 მარტის კონფერენცია მიეძღვნა ჩვენი უახლესი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდის – 1918-1921 წლების ისტორიას, რომლის სამართალმემკვიდრეები ჩვენ ვართ. ამიტომ, მაშინ რაც ხდებოდა, დღესაც აქტუალურია ბევრი რამ. მაგალითად, ჩემი მოხსენების სათაური გახლავთ „მრავალპარტიული სისტემის სტაბილიზაცია საქართველოში“. როდესაც ნიკოლოზ მეორის ხელისუფლება ჩამოაგდეს და მონარქია დაეცა, მას შემდეგ, 1917 წლის პირველ თვეებში, საქართველოში ძალიან ბევრი პოლიტიკური პარტია ფუნქციონირებდა. მათ შორის გაჩაღდა, შეიძლება ითქვას, ბრძოლა ჰეგემონიისათვის. ეს ბრძოლა, გარკვეულ პერიოდებში, მწვავე იყო, განსაკუთრებით პირველი ორი თვის განმავლობაში (თებერვალ-მარტში), მაგრამ ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ელიტისაგან განსხვავებით (ამას ხაზგასმით ვამბობ), მაშინდელმა პოლიტიკურმა ელიტამ შეძლო, რომ პატარა წაკინკლავების მერე ერთად დამსხდარიყვნენ, ეთანამშრომლათ... მონარქიის დაქცევის მერე, სოციალ-დემოკრატებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა, სოციალ-ფედერალისტებმა – ყველაზე წამყვანმა პარტიებმა მოაწყვეს ინტერპარტიული შეკრება და შექმნეს ორგანო, რომელიც უხელმძღვანელებდა ქართული სახელმწიფოს აღდგენას. ჩვენმა პოლიტიკურმა ელიტამ ეს შეთანხმება ერთმანეთთან ვერ მოახერხა და ამ ბრძოლაში გავიდა 30 წელი. დავუჯეროთ ჩვენს წინაპრებს!“ – აცხადებს კონფერენციის მონაწილე, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ.

პროექტის თანამონაწილე, ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე 1918-1921 წლების საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობას იკვლევს. „საინტერესო მოხსენება გამოვიდა, რადგან ბევრი რაღაც ისტორიაში მეორდება და ჰგავს იმ წლებს, ჰგავს იმას, რაც არის დღესაც. აზერბაიჯანი და საქართველო ძალიან სტრატეგიული პარტნიორები იყვნენ მაშინაც, რასაც განაპირობებს ორივე სახელმწიფოს ინტერესები – ეს უკავშირდება ნავთობს, ნავთობსადენს, რკინიგზას, რომელიც ვერ იმუშავებს, თუ არ იქნებოდა მაშინ და არ იქნება დღესაც სახელმწიფოთა შორის კარგი ურთიერთობები. გარდა ამისა, მოხსენება ეხება იმ სავაჭრო ურთიერთობას, რომელიც არსებობდა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის; იმ პოლიტიკურ ურთიერთობებს, რომელიც მაშინ იყო და, ნაწილობრივ, სამხედრო საკითხებსაც (თუმცა, სამხედრო საკითხები უფრო მეტად არის ცნობილი საზოგადოებისათვის), ამიტომ მე აქცენტი გავაკეთე ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე“, – განაცხადა ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ.

დოქტორანტ ირაკლი ირემაძის მოხსენება შეეხებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სისტემას. „როდესაც 105 წლის წინ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქმნიდნენ ახალი განათლების სისტემას, პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ ეს უნდა ყოფილიყო საზოგადოების გარდაქმნის, თანასწორი საზოგადოების ჩამოყალიბების მთავარი ფუნდამენტი, რადგანაც მანამდე საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილს მიუწვდებოდა ხელი განათლებაზე. აქ საუბარია იმაზე, რომ მანამდე არსებული რეპრესიული განათლების სისტემა ვეძლო იმ პრობლემების გადაჭრა, რაც მთელი რუსეთის იმპერიის განმავლობაში არ ხდებოდა საქართველოში, რომ მოქალაქეებს არ ჰქონოდათ წვდომა განათლებაზე“, – განაცხადა ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲘᲠᲔᲛᲐᲫᲔ.

> ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲛᲘ ᲢᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

დიმიტრი შველიძე

ირაკლი ირემაძე

ბონდო კუპატაძე

მიხეილ ბახტაძე

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲠᲔ�გᲣᲚᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲕᲚᲔᲕᲐ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ სამეცნიერო სივრცეში პირველად ქართული და ევროპული ღვინის წარმოების რეგულაციების შედარებითი ანალიზი ჩატარდა. კვლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორმა ნიკოლოზ ფარსადანიშვილმა სადისერტაციო ნაშრომის – „ქართული და ევროპული ღვინის წარმოების სამართლებრივი რეგულირების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ – ფარგლებში განახორციელა. დისერტაციის დაცვა 24 თებერვალს გაიმართა. ნაშრომის ხელმძღვანელი თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მარინა გარიშვილია.

როგორც ნაშრომის აბსტრაქტშია აღნიშნული, „შესწავლილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: ღვინის წარმოების საწყისები ძველ დროში და მათი გავრცელება სხვადასხვა ტერიტორიაზე. დისერტაციაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა რომის სამართლის წვლილს იმ რეგულაციების შემუშავებაში, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ღვინოს. გარდა ამისა, კვლევის ძირითადი მიზნებისთვის დისერტაცია შეისწავლის ღვინის წარმოების რეგულაციების განვითარების ტენდენციებს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან 2000-იანი წლების დასაწყისამდე, განსაკუთრებული აქცენტი გამახვილებულია ევროპის წამყვან მეღვინეობის ქვეყნებსა და საქართველოზე, როგორც ღვინის საერთაშორისოდ აღიარებულ სამშობლოზე“.

„ნაშრომი ავსებს საქართველოს შესახებ არსებულ ინფორმაციულ სიმწირეს ღვინის წარმოების რეგულაციების მიმართულებით, რადგან, ჯერ-ჯერობით, ეს საკითხი ფართოდ შესწავლილი და ისტორიული თვალსაზრისით განხილული არ არის. დისერტაცია ყურადღებას ამახვილებს ქართული და ევროპული ღვინის წარმოების რეგულირებაზე 1920-იანი წლების დასაწყისიდან 2000-იანი წლების დასაწყისამდე.

ევროპისა და საქართველოს რეგულაციათა შედარებითმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ კანონშემოქმედებითი საქმიანობა სწორი მიმართულებით განახორციელა, შეიმუშავა და შემდგომში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში ეტაპობრივად მოჰყავდა ღვინის წარმოებასთან დაკავშირებული რეგულაციები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გარკვეული პრობლემები, რაც დამატებით კვლევას საჭიროებს.

ევროპისა და საქართველოს რეგულაციათა შედარებითმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ კანონშემოქმედებითი საქმიანობა სწორი მიმართულებით განახორციელა, შეიმუშავა და შემდგომში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში ეტაპობრივად მოჰყავდა ღვინის წარმოებასთან დაკავშირებული რეგულაციები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გარკვეული პრობლემები, რაც დამატებით კვლევას საჭიროებს.

სამომავლო მიზანია განხორციელდეს საქართველოს ღვინის წარმოების რეგულაციათა ანალიზი 2000-იანი წლების მეორე ნახევრიდან დღემდე“, – განმარტა ნიკოლოზ ფარსადანიშვილმა.

ᲠᲐ ᲮᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲡ?

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

სანდრო ტაბატაძე

სალომე დუნდუა

ᲙᲘᲓᲔᲕ ერთი საინტერესო კვლევა გამოაქვეყნეს Web of Science-სა და Scopus-ში ინდექსირებულ, იმპაქტ ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალ TRAS-ში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულების მკვლევრებმა – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორობის კანდიდატმა სანდრო ტაბატაძემ და ასოცირებულმა პროფესორმა სალომე დუნდუამ.

სტატიაში – „რა ხდის განათლების პოლიტიკის ტრანსფერს წარმატებულს?“ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მაგალითზე განსაზღვრულია განათლების პოლიტიკის ტრანსფერის ხელშემწყობი ფაქტორები, წარმოდგენილია ახალი და ალტერნატიული ჩარჩო.

„განათლებაში პრინციპების/წესდებების შემუშავება და ტრანსფერი ერთ-ერთი ყველაზე პრაქტიკული ინსტრუმენტია. ამ პროცესის უარყოფითი და დადებითი მხარეები აშკარად ვლინდება პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, სადაც განათლების სისტემები ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ფუნდამენტურად შეიცვალა დონორი ორგანიზაციების მხრიდან გაზრდილი ინტერესების შესაბამისად. განათლების პრინციპების ტრანსფერისა და მონაცემთა ანალიზის შემოთავაზებული საყოველთაოდ მიღებული ჩარჩო საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ ძირითადი დასკვნები, რათა პასუხი გავცეთ საკვლევ შეკითხვას: რა განაპირობებს განათლების პოლიტიკის ტრანსფერის წარმატებას? ისეთი ხელისშემშლელი ფაქტორების გარდა, როგორებიცაა რთული სოციო-კულტურული გარემო და განათლების სისტემის ვერტიკალური ადმინისტრაცია, არსებობს რამდენიმე ხელშემწყობი ფაქტორიც: მუდმივი პოლიტიკური მხარდაჭერა, მოტივირებული გუნდი, რომელმაც იცის, როგორ უნდა ააშენოს ორგანიზაციული კულტურა, ჰქონდეს ეფექტიანი კომუნიკაცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან, გაიგოს/შეიგრძნოს ადგილობრივი კონტექსტი და შექმნას საგარეო პოლიტიკის ტრანსფერის ქსელები. ამ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორებს შეუძლია განათლების პრინციპების ტრანსფერი წარმატებული გახადოს“, – ნათქვამია აბსტრაქტში.

სტატიაში – „რა ხდის განათლების პოლიტიკის ტრანსფერს წარმატებულს?“ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მაგალითზე განსაზღვრულია განათლების პოლიტიკის ტრანსფერის ხელშემწყობი ფაქტორები, წარმოდგენილია ახალი და ალტერნატიული ჩარჩო.

კვლევა დაეყრდნო ორთოდოქსულ/საყოველთაოდ მიღებულ ჩარჩოს/ფრეიმს, გაანალიზებულ მონაცემებს და 15 სიღრმისეულ ინტერვიუს. ანალიზის შედეგად, ავტორები მიდიან დასკვნამდე, რომ NAEC-ის განათლების პოლიტიკის ტრანსფერი წარმატებული იყო პროგრამული და პოლიტიკური თვალსაზრისით.

სტატიის შემაჯამებელ ნაწილში ავტორები მიუთითებენ, რომ „NAEC-ის ლიდერისა და გუნდის მაღალმა პროფესიონალიზმმა და მოტივაციამ ხელი შეუწყო საგარეო პოლიტიკის ტრანსფერის ქსელების ჩამოყალიბებას, ადგილობრივი კონტექსტის კორექტირებას და ყველა დაინტერესებულ მხარესთან დამხმარე და მუდმივ კომუნიკაციას. თუმცა, ეს შეიძლება არ იყოს წარმატებული, თუ არსებული და შემდგომი მთავრობები არ უზრუნველყოფენ უწყვეტ პოლიტიკურ მხარდაჭერას“.

ნაშრომის მეთოდოლოგიური მიდგომა და მასში ასახული ფაქტორები შეიძლება გამოიყენონ პოსტსოციალისტური განათლების კვლევის მეცნიერებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან განათლების პოლიტიკის ტრანსფერის მიზეზებისა და შედეგების დადგენით.

მაკა ნუცუბიძის ავტორობით „საქართველოს ღვინის სამართალი“ პირველად მოხვდა საერთაშორისო გამოცემაში „Global Wine Law“

ნატო ობოლაძე

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორის, სამართლის დოქტორის, მაკა ნუცუბიძის ავტორობით „საქართველოს ღვინის სამართალი“ პირველად მოხვდა ინგლისურენოვან საერთაშორისო გამოცემაში „Global Wine Law“. კრებულში მსოფლიოს 26 ქვეყნის ღვინის სამართლებრივი რეგულაციებია გამოკვლეული და აღწერილი. „Global Wine Law“ ერთადერთი საერთაშორისო გამოცემაა, რომელმაც ღვინისა და ვაზის სამართლის სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა ერთ სივრცეში გააერთიანა და ონლაინპლატფორმის საშუალებით დაინტერესებულ პირებს, იურისტებს, მეცნიერებს, ბიზნესსექტორის წარმომადგენლებსა თუ სხვადასხვა ორგანიზაციებს სამართლებრივი რეგულაციების ერთმანეთთან შედარების საშუალება მისცა. კრებული საერთაშორისო ორგანიზაცია „ღვინის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის“ მიერაა მომზადებული, რომელიც აერთიანებს მსოფლიოში ღვინის სამართლის სწავლებისა და კვლევის სამეცნიერო-საუნივერსიტეტო საზოგადოებასა და პრაქტიკოს იურისტებს, ხელს უწყობს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე ღვინის სამართლის კვლევისა და სწავლების განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გვაქვს კანონმდებლობა ვაზისა და ღვინის შესახებ, ღვინის სამართალი, როგორც სამართლის ცალკე დარგი, ჩამოყალიბების პროცესშია. მაკა ნუცუბიძე, რომელსაც საფრანგეთში აქვს სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხი მიღებული, მჭიდრო სამეცნიერო-კვლევითი ურთიერთობები აქვს საფრანგეთის უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებთან. იგი მიიჩნევს, რომ საფრანგეთის, იტალიის და სხვა მსხვილი ღვინისმწარმოებელი ქვეყნების მსგავსად, საქართველოში, როგორც ღვინის მწარმოებელ უძველეს ქვეყანაში, აუცილებლად უნდა არსებობდეს ვაზისა და ღვინის სამართლებრივი რეგულაციების შემსწავლელი ცალკე დარგი – „ღვინის სამართალი“. ამ მიზნის განსახორციელებლად, მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე იურისტ-მკვლევართა ჯგუფი ყალიბდება, რომელიც სამართლის დარგის „ღვინის სამართლის“ განვითარებას ჩაუყრის საფუძველს, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებითა და ფრანგი კოლეგების თანადგომით სამართლებრივ კვლევებს განახორციელებს – გამოავლენს ღვინის ქართული კანონმდებლობის ხარვეზებს, მოახდენს პრაქტიკაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის მიზნით.

მაკა ნუცუბიძე უკვე მიმდინარე წლის შემოდგომის სემესტრიდან ფაკულტეტის სტუდენტებს ღვინის სამართლის არჩევით კურსს შესთავაზებს.

საქართველოში ღვინის სამართლის ცალკე დარგად ფორმირების აუცილებლობასა და თანამედროვე ქართული ღვინის სამართლის გამოწვევებს მაკა ნუცუბიძე ინტერვიუში განმარტავს.

მაკა ნუცუბიძე: „პოსტ საბჭოთა სივრცეს თუ არ ჩავთვლით, მსოფლიოში თითქმის ორი საუკუნეა ვაზისა და ღვინის სამართლებრივი რეგულაციების სისტემური კვლევა და შესწავლა ხორციელდება სამართლის ცალკე დარგის „ღვინის სამართლის“ სახელით. „ღვინის სამართალს“ ასევე მოიხსენიებენ, როგორც „ვაზისა და ღვინის სამართალს“. სამართლის ეს დარგი სამართლებრივად არეგულირებს მთლიანად ღვინის ინდუსტრიის, ღვინის სექტორის მამოძრავებელ პროცესებს სავენახე მიწის რეგისტრაციიდან და ვენახის გაშენებიდან – ღვინის დაგემოვნებამდე“.

– რატომ ღვინის და არა, მაგალითად, ვისკის სამართალი?

მაკა ნუცუბიძე: „საქართველო ღვინის სამშობლოა, ღვინის მწარმოებელი ქვეყანაა, ისევე, როგორც საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია და სხვა. ამ ქვეყნებში ღვინო მხოლოდ ეკონომიკური პროდუქტი არ არის, იგი კულტურის, ისტორიის, ტრადიციების ნაწილია. ღვინის ხარისხი თითოეული ღვინისმწარმოებელი ქვეყნის პრესტიჟია და ღირსება. ღვინის წარმოება მრავალსაფეხურიანი პროცესია. ღვინის ხარისხზე გავლენას ახდენს ნიადაგი, მოვლის საშუალებები, გეოგრაფიული/ადგილწარმოშობის დასახელებების აღიარება და დაცულობა, სასაქონლო ნიშნები, დამზადების წესები, ეტიკეტზე დატანილი ინფორმაციის სიზუსტე და მომხმარებლის დაცვა ფალსიფიცირებული ღვინისგან. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ საკითხებისა, რომლებიც სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებს. საფრანგეთის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ (რომელიც ღვინის სამართლის კვლევისა და სწავლების თითქმის ორ საუკუნეს ითვლის), რომ სამართლის ეს „არომატული და გემრიელი“ დარგი მუდმივი განვითარების მდგომარეობაშია როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ – ევროკავშირის და საერთაშორისო დონეზე“.

– ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ღვინის წარმოების რეგულაციებთან დაკავშირებით რა ვითარებაა?

მაკა ნუცუბიძე: „ეროვნული კანონმდებლობით, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ღვინის სამართლის საკითხებია: ვაზის მოვლის, ღვინის წარმოების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ღვინის ტრადიციული დასახელებების დაცვის სტანდარტები, ექსპორტისა და ადგილობრივ ბაზარზე ღვინის გაყიდვის წესები, ბაზარზე განთავსებისას მომხმარებელთა დაცვისა და რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული ვალდებულებები და სხვა.

ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმება უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც, იმავდროულად, საქართველოში ღვინის სამართლის განვითარების საფუძველი და გამოწვევაა. ასოცირების ხელშეკრულებამ გააჩინა შესაძლებლობა, რომ ქართული ღვინო, დაბეგვრის გარეშე, ნულოვანი საბაზრო ტარიფით გაიყიდოს ევროკავშირის ქვეყნებში. ამისთვის ღვინისმწარმოებლებმა უნდა დააკმაყოფილონ ხარისხის სტანდარტები, რომლებიც ევროკავშირის კანონმდებლობაშია გაწერილი და მათთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებაა. საქართველოში ევროკავშირის სამართლის შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა და ამ კანონმდებლობის დაცვით წარმოებული ღვინის მიმართ ნდობის გაზრდა ქართულ ღვინოზე მოთხოვნის გაზრდის გარანტიაა არა მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნებში, არამედ სხვა მსხვილი ბაზრის მქონე სახელმწიფოებში. არაევროკავშირის ქვეყნებს, როგორც წესი, თავიანთი მოთხოვნები და სამართლებრივი რეგულაციები აქვთ ღვინის იმპორტის, დაბეგვრის, სერტიფიცირების მიმართ, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებითაა დარეგულირებული. არაევროკავშირის ქვეყნები, რომლებთანაც უკვე აქვთ სავაჭრო ურთიერთობები ქართველ ღვინისმწარმოებლებს, გააჩნიათ თავიანთი, ეროვნული ღვინის მარეგულირებელი კანონები. მათი სისტემური შესწავლა, გამოკვლევა, ნაშრომებისა და გზამკვლევების მომზადება ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ღვინის რეალიზატორებს, ექსპორტ-იმპორტიორებს, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების გადაწყვეტილების მიმღებ პირებს (კანონმდებლებს, საჯარო მოხელეებს, ადვოკატებს, მოსამართლეებს და სხვ.) ღვინის სექტორში არსებული ურთიერთობებისა და დავების გადაწყვეტისას.

– რა მნიშვნელობა აქვს კრებულში „Global Wine Law“ საქართველოს ღვინის სამართლის მიმოხილვის გამოქვეყნებას?

მაკა ნუცუბიძე: „ღვინის სამართლის საერთაშორისო ორგანიზაცია AIDV „Global Wine Law“-ს გამოცემის ინიციატორი და ავტორია. ამ ორგანიზაციის წევრები არიან მსოფლიოში ყველა ღვინის მწარმოებელი ქვეყნის უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების იურისტები, პროფესორები, მკვლევრები, ასევე, მოქმედი ადვოკატები და მოსამართლეები, რომლებიც ღვინის სამართალში მოღვაწეობენ. კრებულს სამი რედაქტორი ჰყავს: ღვინის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტები – თეოდორ გეორგოპოლუსი, რეინ-ჟან პრინსი და სტეფან სტერნი. ბატონი გეორგოპოლუსი საფრანგეთის, რეიმსის შამპან არდენის უნივერსიტეტის ჯორჯ ჩაპეზის ვაზისა და ღვინის სამართლის ინსტიტუტის პრეზიდენტი, ჟან მონეს ღვინისა და სამართლის პროგრამის დირექტორია. სწორედ მან შემომთავაზა ამ კრებულისთვის კვლევის განხორციელება და ამ ნაშრომის მომზადება. ბატონი პრინსი საფრანგეთის ექს ან პროვანსის ადვოკატთა ასოციაციის წევრი და ღვინის სამართლის სპეციალიზებული ადვოკატია, ხოლო სტეფან სტერნი – ავსტრალიელი ადვოკატი ასევე ღვინის სამართლის სპეციალიზაციით.

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ასოციაციამ რედაქტორების ხელმძღვანელობით შეიმუშავა ერთიანი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც 26 ქვეყნის იურისტმა ვიმუშავეთ ჩვენ-ჩვენი ქვეყნების სამართლის სისტემაში ღვინის სამართლებრივი რეგულაციების მოძიებასა და გამოკვლევაზე. ნაშრომები ორგზის იქნა გადახედილი დამოუკიდებელი, ანონიმური ექსპერტების მიერ და საბოლოო რედაქტირების შედეგად 2023 წლის 3 მარტს გამოიცა შვეიცარიაში გამომცემლობა „Helbing Lichtenhahn“-ის მიერ. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად კრებულის პირველ გამოცემაში 2021 წელს მხოლოდ 20 ქვეყანა მოხვდა და მათ შორის არ იყო საქართველო. მოგვიანებით მეორე შევსებულ გამოცემაში დამატებულ 6 ქვეყანას შორისაა დღეს საქართველოს ღვინის სამართალი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კრებულის რედაქტორების მკაცრი პოლიტიკის მიუხედავად, რომ თითოეული ავტორი უნდა მორგებოდა წინასწარ შემუშავებულ მეთოდოლოგიას, საშუალება მომცეს მცირე, მაქსიმუმ ერთგვერდიანი შესავალი გამეკეთებინა, რითიც, ბუნებრივია, დიდი სიხარულით ვისარგებლე და, მოკლედ, მაგრამ მთავარი სათქმელი მაინც გადავეცი ყველა მკითხველს საქართველოს, როგორც 8000 წლიანი ღვინის წარმოების ისტორიის მქონე ქვეყნის შესახებ. იმედია, წიგნი ბევრს დაინტერესებს და საქართველოს ღვინის სამართლებრივი რეგულაციების გაცნობას შეუდგება“.

– რა გეგმები გაქვთ ღვინის სამართლის კვლევა-სწავლების განვითარებასთან დაკავშირებით?

მაკა ნუცუბიძე: „ღვინის სამართალი იკვეთება სამართლის აბსოლუტურად ყველა დარგთან – სისხლის სამართლიდან დაწყებული, სამოქალაქო-სახელშეკრულებო, ადმინისტრაციული, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, საბაჟო, საგადასახადო, შრომით, საერთაშორისო კერძო სამართლით დამთავრებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მკვლევართა გუნდის შეკვრა. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტებისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან დაინტერესება უკვე არის. მჭიდრო კავშირები და ურთიერთთანამშრომლობის გეგმები გვაქვს საფრანგეთის, ესპანეთისა და იტალიის უნივერსიტეტებთან. ჩვენი მთავარი მხარდამჭერია ღვინის სამართლის საერთაშორისო ასოციაცია. ვმუშაობთ საქართველოში ღვინის სამართლის დარგის სტრატეგიის შემუშავებაზე და მაისის თვეში დაგეგმილი გვაქვს საერთაშორისო ვებინარი ფრანგი და ქართველი დოქტორანტების მონაწილეობით ღვინის სამართლის სხვადასხვა საკითხებზე.

რაც შეეხება ჩემს ინდივიდუალური კვლევისა და სწავლების გეგმას, მე უკვე შევიმუშავე სილაბუსი არჩევითი საგნისთვის – „ღვინის სამართლის შესავალი“ და ე.წ. „რიდერი“, როგორც კურსის შესაბამისი სასწავლო-დამხმარე მასალა. პარალელურად ვმუშაობ მონოგრაფიაზე. ჩვენ ხომ ჯერ ახლა დავიწყეთ, წინ ბევრი და დიდი გეგმები გვაქვს!“

სტუდენტური ფურცელი

tsu.media

ნინო მამულაშვილმა მამია ღაღანიძის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში გაიმარჯვა

თამარ დადიანი

„დიდი ბედნიერებაა, როდესაც მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა სიაში საკუთარ თავს ხედავ“, – აცხადებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი ნინო მამულაშვილი, რომელმაც თსუ-ს მიერ გამოცხადებულ მამია ღაღანიძის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში გაიმარჯვა.

„როგორც ნოდარ დუმბაძე ამბობს: „სტუდენტობა უბედნიერესი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში. თუ კაცი სტუდენტი არ ყოფილა, იგი ვერასდროს ვერ გაიგებს სტიპენდიით განცდილ სიხარულს...“

მართლაც, ძალიან დიდი ბედნიერებაა, როდესაც შრომობ და შრომა გიფასდება. უკვე მესამე კურსს ვხურავ და ამ ხნის მანძილზე უამრავი სახელმწიფო სტიპენდია და შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება მოვიპოვე, თუმცა პროფესორ მამია ღაღანიძის სახელობის სტიპენდიის მონიჭება სულ სხვა ემოცია იყო, ამასთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობაც. ახლა კი უფრო მეტად მაქვს მოტივაცია, რომ უფრო შემართებით, ხალისით და ინტერესით ვისწავლო.

დიდი ბედნიერებაა, როდესაც მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა სიაში ხედავ საკუთარ თავს“, – ამბობს ნინო, რომელსაც სკოლის ასაკიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ესწავლა.

„ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი დგება მაშინ, როდესაც ვიღებთ გადაწყვეტილებას შესაბამისი პროფესიის არჩევისა. არჩევანის გაკეთება კი საკმაოდ რთულია, ვინაიდან არ ვიცით – რა პერსპექტივას გვთავაზობს ესა თუ ის მიმართულება.

მე უკვე სკოლის საბაზო საფეხურზე საფუძვლიანად მქონდა გადაწყვეტილი, რომ მესწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. იქიდან გამომდინარე, რომ რთულია წინასწარ განსაზღვრო შენი მომავალი პროფესიული ბედი, მიმაჩნია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით სწავლა ნამდვილად დასაფასებელია, თუკი რეალურ ცოდნას მივიღებთ აღნიშნულთან დაკავშირებით.

რატომღაც ყოველთვის მიჭირდა თავი სხვა სფეროში წარმომედგინა, ამიტომ დიდი ფიქრი არც დამჭირვებია – სურვილი და ინტერესი იმდენად დიდი მქონდა. ისიც კარგად ვიცოდი, რომ მიზნის მიღწევა მარტივი არ იქნებოდა, ამისათვის კი თავდაუზოგავი შრომა და დიდი ძალისხმევა დამჭირდებოდა. თუმცა შეუძლებელი არაფერია, მთავარია მიზანდასახულობა, თავდაჯერებულობა და მონდომება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ის უნივერსიტეტია, რომელიც მუდმივად ზრუნავს ახალგაზრდების ღირსეულ აღზრდასა და განათლებაზე. ბედნიერი ვარ, რომ მაქვს პატივი ამ დიდი ოჯახის წევრობისა“, – აღნიშნავს მამია ღაღანიძის სახელობის სტიპენდიატი, რომელიც პროფესიის სწორად შერჩევას დიდი ყურადღებით მოეკიდა და ამასვე ურჩევს თანატოლებს, რომლებიც ჯერ კიდევ აბიტურიენტები არიან.

„თანამედროვე სამყაროში უამრავი გამოწვევის წინაშე გვიწევს ყოფნა. ვსწავლობთ სხვა მიმართულებით და ვსაქმდებით სრულიად სხვა გარემოში, რაც, ჩემი აზრით, ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ აბიტურიენტები რატომღაც დიდ ყურადღებას არ აქცევენ პროფესიის სწორად შერჩევას. ვსწავლობ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით და ძალიან რთულია შრომის ბაზარზე დასახელდეს ისეთი სექტორი, რომელიც შეიძლება არ საჭიროებდეს ამ დარგის მქონე სპეციალისტს. ამიტომაც ამ მიმართულების მქონე სტუდენტებს ნაკლებად სჭირდებათ დასაქმების პერსპექტივაზე ფიქრი.

იგი საშუალებას გვაძლევს შევიძინოთ ლიდერობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, გვეხმარება გლობალური აზროვნების ჩამოყალიბებაში, პიროვნულად განვითარებაში, გამოწვევებთან და რისკებთან გამკლავებაში, კრეატიულობაში, კონკურენტუნარიანობის შეძენაში, კომუნიკაბელურობის დახვეწასა და სხვა“, – აცხადებს ნინო მამულაშვილი, რომელიც პროფესორ-მასწავლებლებზე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით საუბრობს და კმაყოფილია, რომ სწავლების ხარისხთან დაკავშირებით მოლოდინები ნამდვილად გაუმართლდა.

„უნივერსიტეტში სწავლა პანდემიის პერიოდში დავიწყე და თითქმის ორი წელი დისტანციურად სწავლა მომიწია, თუმცა ეს წლები ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა, ვინაიდან უფრო მეტი დრო მქონდა განვითარებისთვის. მაგრამ სულ სხვაა რეალურ გარემოში სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მუშაობა.

იმ მოლოდინმა, რაც მქონდა, ნამდვილად გამიმართლდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰყავს ნამდვილად ღირსეული პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ შესაფერისი განათლება მოგვცენ. ისინი ჩვენი მეგობრები არიან, რომლებიც მუდმივად გვერდში გვიდგანან და ჩვენს განვითარებასა და წარმატებას იმედიანად შეჰყურებენ“, – აღნიშნავს ნინო, რომელიც თვლის, რომ შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრება მარტივი არ არის...

„საკუთარი თავის დამკვიდრება შრომის ბაზარზე მარტივი ნამდვილად არ არის, ვინაიდან არის გარკვეული სირთულეები, გამოწვევები, გაურკვევლობები, მაგრამ თუ მტკიცედ და თავდაჯერებულად შევხვდებით ამ პატარა წარუმატებლობებს და მას ჩვენი მიზნის მიღწევისათვის დადებითად გამოვიყენებთ, შედეგს აუცილებლად მივაღწევთ.

შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მოპოვების მთავარი ფაქტორია საკუთარი პროფესიის უანგარო სიყვარული, წარმატებისათვის შრომა და მზადყოფნა სირთულეების დაძლევისა“, – აცხადებს ნინო, რომელიც ახალგაზრდების იმ ნაწილზეც ფიქრობს, ვისაც ფინანსური შესაძლებლობა არ აქვს – უმაღლესი განათლება მიიღოს.

„დღეს ძალიან დიდი შესაძლებლობა გვაქვს სტუდენტებს, რომ ცოდნა გავიღრმავოთ, საინტერესო და მრავალფეროვანი ინფორმაცია მივიღოთ და საკუთარი თავის რეალიზება შევძლოთ. თუმცა ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი მოწყვეტილია სტუდენტურ ცხოვრებას, ვინაიდან ფინანსური მდგომარეობის გამო ისინი უარს უმბობენ სწავლაზე. კარგი იქნება, თუ უფრო მასშტაბურად იქნება შესაძლებლობა, რომ თითოეულ მათგანს ჰქონდეს ხარისხიანი განათლებისა და განვითარების შესაძლებლობა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უნივერსიტეტის მხრიდან გარკვეული სტიპენდიები სტუდენტებისათვის არის სტიმულის მიმცემი, რაც კიდევ უფრო ზრდის ჩვენი სწავლის ხარისხის ეფექტიანობას“, – ამბობს ნინო.

„დღეს მესამე კურსის სტუდენტი ვარ და წინ კიდევ დიდი დრო მაქვს იმისათვის, რომ განვვითარდე და შრომის ბაზარზე ღირსეული კონკურენცია გავუწიო ჩემს კონკურენტებს. დღეს უკვე ვმუშაობ თიბისი ბანკში ჩემი მიმართულებით და მგონია, რომ კარგი დასაწყისია, ვინაიდან, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკულ გამოცდილებასაც ვიღებ.

თსუ მაძლევს სწავლასთან ერთად მუშაობის შესაძლებლობას, ცოდნას, განვითარების წინაპირობებს, პასუხისმგებლობის გრძნობის გაღრმავებას, რაც მეტად მიწყობს ხელს წარმატებული ვიყო“, – დასძენს ნინო, რომელიც უდიდეს პატივისცემას გამოხატავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიმართ და თვლის, რომ თითოეული სტუდენტის წარმატება და განვითარება სწორედ მათი საქმიანობის დამსახურებაა.

კონკურსი საუკეთესო ქართული სტუდენტური თარგმანისთვის

საუკეთესო ქართული სტუდენტური თარგმანისათვის პრეზიდენტის ადმინისტრაცია ელისაბედ ორბელიანის სახელობის ჯილდოს მოსაპოვებლად კონკურსს აცხადებს.

ელისაბედ ორბელიანის სახელობის ჯილდო გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:

- პროზის ქართული თარგმანი
- პოეზიის ქართული თარგმანი
- სამეცნიერო ნაშრომის ქართული თარგმანი
- ესეს და დოკუმენტური პროზის ქართული თარგმანი

კონკურსის მიზანია ახალგაზრდებს შორის მთარგმნელობითი საქმიანობის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინიციატივების წახალისება.

კონკურსის პირობები: კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში არსებული უნივერსიტეტების სტუდენტებს და დოქტორანტებს (35 წლამდე), დიასპორის წარმომადგენლებს უნივერსიტეტში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტებმა თავიანთი უნივერსიტეტის კანცელარიაში უნდა წარადგინონ საბუთები და საკონკურსო თარგმანი. საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც უცხოურ უნივერსიტეტებში სწავლობენ, შეუძლიათ თარგმანი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წარადგინონ მეილზე: info@president.gov.ge თანდართული სტუდენტობის დამადასტურებელი დოკუმენტით.

კონკურსის ვადები: კონკურსი ცხადდება 2023 წლის 1 მარტს. საკონკურსო თარგმანების, მათი ორიგინალების და საბუთების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენა სტუდენტებს შეუძლიათ 2023 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით. პრეზიდენტის ადმინისტრაციას საკონკურსო ნამუშევრები წარედგინება არაუგვიანეს 2023 წლის 1 ნოემბრისა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შექმნილი სამუშაო ჯგუფი გამოავლენს საუკეთესო თარგმანებს და საქართველოს პრეზიდენტს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს 2022 წლის 15 დეკემბრამდე. გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართება 2023 წლის მიწურულს ორბელიანების სასახლეში.

საკონტაქტო ინფორმაცია: კოორდინატორი: ირინე შენგელია — საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ოფიციალური ღონისძიებების ორგანიზების საკითხებში. ელექტრონული მისამართი: info@president.gov.ge. ტელეფონის ნომერი: (+995) 599 147 168

სტუდენტური ფურცელი

tsu.media

ეროვნულ შეჯიბრში გამარჯვებული თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები კლიენტთა კონსულტირების საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ემზადებიან

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ორგანიზებულ კლიენტთა კონსულტირების უნარ-ჩვევების ეროვნულ შეჯიბრში გაიმარჯვეს. სტუდენტებმა ელენე კაკულიამ და თემო დარბაიძემ პირველი ადგილი მოიპოვეს და ახლა კლიენტთა კონსულტირების საერთაშორისო შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად ემზადებიან.

საერთაშორისო შეჯიბრი 2023 წლის 12-15 აპრილს, ნიდერლანდებში, ქალაქ მაასტრიხტში გაიმართება.

კლიენტთა კონსულტირების ეროვნული შეჯიბრის მიზანია სტუდენტებისთვის კლიენტთა კონსულტირების მნიშვნელოვანი უნარების განვითარება და აღნიშნული უნარების დახვეწისთვის სტუდენტებისთვის საბაზისო ცოდნის მიცემა. შესაბამისად, ფინალურ რაუნდს, სადაც ოთხი გუნდი (ორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ორი თავისუფალი უნივერსიტეტიდან) იღებდა მონაწილეობას, წინ ორდღიანი მოსამზადებელი ტრენინგები უძღოდა.

„სამომავლოდ მინდა, რომ ადვოკატის პროფესიას გავყვე. შესაბამისად, ამ კონკურსმა შესაძლებლობა მომცა – პრაქტიკულად გამომეცადა ის უნარები და ცოდნა, რაც თეორიულად ვისწავლეთ. ძალიან კარგი გამოცდილება მივიღეთ და დავრწმუნდი, რომ ჩემი პროფესიული არჩევანი სწორია. შეჯიბრი გარემოს დაცვის სამართლის თემაზე გაიმართა, რისთვისაც მოგვიწია ქართული კანონმდებლობის დამუშავება. კლიენტთა კონსულტირება ყველაზე ხშირია, რასაც ადვოკატი აკეთებს, რადგან უშუალოდ პროცესამდე საქმე იშვიათად მიდის. ვფიქრობ, რომ მიღებული პრაქტიკული გამოცდილება ადვოკატების საქმიანობის უშუალოდ ამ ნაწილში ძალიან მნიშვნელოვანია. შეჯიბრის პროცესში თეორიულ ცოდნასთან ერთად მოწმდებოდა კლიენტთან ურთიერთობის უნარები – რამდენად შეძლებ კომფორტულად აგრძნობინო თავი, როგორ მიუდგები ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, როგორ იყენებ სხეულის ენას, რამდენად სწორ კითხვებს უსვამ, რაც ძალიან საინტერესო გამოცდილება იყო. უმეტესწილად, კლიენტები ვერ იაზრებენ – კონკრეტულად რა ინფორმაცია სჭირდება ადვოკატს და რამდენად მნიშვნელოვანია ამომწურავი ინფორმაციის მისთვის მიწოდება, შესაბამისად, კითხვის სწორი ფორმულირება იყო ერთ-ერთი ის მნიშვნელოვანი უნარი, რომელიც ამ კონკურსის ფარგლებში შევიძინე“, – ამბობს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი **ელენე კაკულია**.

„მანამდე რა პროექტებშიც ვმონაწილეობდი, ყველა მათგანი თეორიული ცოდნის მიღებაზე იყო ორიენტირებული. ამ ეტაპზე გადავწყვიტე პრაქტიკული უნარების განვითარება და სწორედ ამ მხრივ იყო ეს შეჯიბრი საინტერესო. კონკურსის ფარგლებში უშუალოდ შევეხეთ ადვოკატის საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, მივიღე პრაქტიკული გამოცდილება კლიენტებთან ურთიერთობის მიმართულებით – როგორ ვაგრძნობინოთ თავი კომფორტულად ადვოკატთან ურთიერთობისას, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე როგორ მივცეთ სწორი რჩევა და ა.შ. საინტერესო იყო გარემოს სამართალზე მუშაობაც, აღნიშნულ სფეროსთან მანამდე შეხება არ მქონია, თუმცა საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა.

თემო დარბაიძე და ელენე კაკულია

ამ ეტაპზე უკვე ვკონცენტრირდით საერთაშორისო შეჯიბრში მონაწილეობაზე, რომელიც მასშტაბური შეჯიბრია და მსოფლიოდან მასში არაერთი უნივერსიტეტის გუნდი იღებს მონაწილეობას“, – აღნიშნა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა **თემო დარბაიძემ**.

თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ორგანიზებული კლიენტთა კონსულტირების უნარ-ჩვევების ეროვნული შეჯიბრი ყოველწლიურია და USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით ტარდება.

> ვფიქრობ, რომ მიღებული პრაქტიკული გამოცდილება ადვოკატების საქმიანობის უშუალოდ ამ ნაწილში ძალიან მნიშვნელოვანია. შეჯიბრის პროცესში თეორიულ ცოდნასთან ერთად მოწმდებოდა კლიენტთან ურთიერთობის უნარები – რამდენად შეძლებ კომფორტულად აგრძნობინო თავი, როგორ მიუდგები ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, როგორ იყენებ სხეულის ენას, რამდენად სწორ კითხვებს უსვამ, რაც ძალიან საინტერესო გამოცდილება იყო

გამოქვეყნდა სტატია: „შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის თავისებურებები საქართველოში (თბილისისა და ბათუმის მაგალითი)“

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორების გიორგი გოგსაძის და თამარ დოლბაიას, ასევე, დოქტორანტ ტატიანა სიჭინავას თანაავტორობით Scopus-ში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში Dela გამოქვეყნდა საინტერესო სტატია „შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის თავისებურებები საქართველოში (თბილისისა და ბათუმის მაგალითი)“ („The main peculiarities of labour migrants' integration in Georgia (case of Tbilisi and Batumi)“.

ნაშრომის მთავარი მიზანი იყო ქართულ საზოგადოებაში შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა. კვლევის შედეგები ეფუძნება, პირველ რიგში, თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის შედეგებს, რომელშიც ავტორებმა გამოიყენეს სიღრმისეული ინტერვიუები საქართველოში მცხოვრებ მიგრანტ მუშაკებთან და ამ დარგის ექსპერტებთან.

ნაშრომის შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ საქართველოში შრომითი მიგრაციის მართვის მთავარი მახასიათებელია სათანადო კანონმდებლობისა და ჯანსაღი პოლიტიკის არარსებობა, ამიტომ, მიგრანტების ინტეგრაციის პროცესი სპონტანურად მიდის: მიგრანტების ერთი ჯგუფი, კერძოდ, ინგლისურ და რუსულენოვანები, ისევე, როგორც პროფესიონალი მუშაკები, თავს კომფორტულად გრძნობენ და ინტენსიურ კომუნიკაციას ინარჩუნებენ ადგილობრივ მოსახლეობასთან. მიგრანტების მეორე ნაწილი კი, რომელსაც არ აქვს სახელმწიფო მხარდაჭერა ქართული ენის შესასწავლად, იზოლირებულია მასპინძელი საზოგადოებისაგან.

კვლევა სიღრმისეულად სწავლობს პრობლემას და სხვადასხვა მონაცემების შეჯერების საფუძველზე საინტერესო დასკვნებს გვთავაზობს.

კერძოდ: კვლევის დასკვნითი ნაწილი მიუთითებს, რომ „საქართველოს ლიბერალური ემიგრაციის კანონმდებლობა, ბიზნესის დაწყებისა და კეთების სიმარტივე, კარგი კლიმატი, სტუმართმოყვარე ხალხი და, ზოგადად, უსაფრთხო გარემო საქართველოს მიმზიდველ ადგილად აქცევს მიგრანტებისთვის. საქართველოში სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებს არ ექმნებათ პრობლემები რელიგიური თუ კულტურული რიტუალების განხორციელებისას.“



გიორგი გოგსაძე

თამარ დოლბაია

> რატომ ჩამოდიან საქართველოში შრომითი მიგრანტები? სტატიის ავტორები კვლევის შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ შრომითი მიგრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში საკუთარი ბიზნესის წამოწყების მიზნით მოდის.

როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, გამოკითხულ რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხაზი გაუსვა, რომ ქართული საზოგადოება მეგობრული და ტოლერანტულია უცხოელთა მიმართ, რაც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის მიგრანტების წარმატებული ინტეგრაციისთვის. დასკვნით ნაწილში ასევე გამოკვეთილია საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ, ის, რომ მიღებულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები, რომელთა მეშვეობითაც მიგრაციის მართვის ინსტიტუციონალიზაცია დაიწყო.

რატომ ჩამოდიან საქართველოში შრომითი მიგრანტები? სტატიის ავტორები კვლევის შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ შრომითი მიგრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში საკუთარი ბიზნესის წამოწყების მიზნით მოდის.

ნაშრომში ნათქვამია: „მიგრანტები ადგილობრივ მოსახლეობაზე უფრო მდიდრები არიან – ეს საქართველოს შრომითი მიგრაციის თავისებურებაა. შრომით მიგრანტებს, რომლებიც ჩამოდიან ეკონომიკურად განვითარებული სამყაროდან ან პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, ხშირად აქვთ უფრო მაღალი კვალიფიკაცია, ვიდრე ადგილობრივებს. ზოგადად, შრომითი მიგრაცია დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, რადგან მიგრანტების ნაწილს შემოაქვს ინვესტიციები, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას. მაღალი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტები, გამოცდილი სპეციალისტები მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისთვის, რადგან მათ მოაქვთ ახალი ბიზნეს პრაქტიკა. თითქმის ყველა მიგრანტს აქვს საბანკო ანგარიშები და სარგებლობს სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურებით.“

ორი ქალაქის – ბათუმისა და თბილისის შედარების საფუძველზე მკვლევრები ასკვნიან, რომ ბათუმს უფრო ხელსაყრელი პირობები აქვს მიგრანტთა ინტეგრაციისთვის, ვიდრე თბილისს. შესაბამისად, ადგილობრივებსა და მიგრანტებს შორის კომუნიკაცია ბათუმში უფრო ინტენსიურია. „ზოგადი დაკვირვებაა, რომ მიგრანტ მუშაკთა ინტეგრაცია საქართველოში სპონტანურად მიმდინარეობს. ამავდროულად, მიგრანტების სხვადასხვა ჯგუფში ინტეგრაცია ერთნაირი არაა და დამოკიდებულია მათი განათლების დონეზე, მატერიალურ სიმდიდრეზე, წარმოშობის ქვეყანასა და კულტურულ-რელიგიურ კუთვნილებაზე“, – ნათქვამია სტატიაში.

დაკვირვების საფუძველზე მეცნიერები ასკვნიან, რომ მიგრანტების ინტეგრაცია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებიდან უფრო მშვიდად მიმდინარეობს, ვიდრე განვითარებადი ქვეყნებიდან. მაგალითად, აზიის ქვეყნებიდან მიგრანტებისთვის უფრო რთულია ინტეგრირება, რაც განპირობებულია სამართლებრივი, კულტურული, ლინგვისტური და სხვა ფაქტორებით მაშინ, როცა რუსულ ან ინგლისურ ენებზე მოლაპარაკე მიგრანტები საკმაოდ შეუფერხებლად გადიან ინტეგრაციას მაშინაც კი, თუ ისინი არ საუბრობენ ქართულად.

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიგრაციული პოლიტიკა ლიბერალურია, მის აღსრულებაში არის ხარვეზები: პროცედურების არათანაბარი შესრულება, მათ შორის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე გაუმართლებელი უარის თქმა, რაც ხელს უშლის განვითარებადი ქვეყნებიდან მიგრანტების ინტეგრაციას. მიგრანტებს, უმეტეს შემთხვევაში, არ ემსახურება სახელმწიფო ან კერძო ჯანდაცვის პროგრამები (საიმიგრაციო პოლიტიკა და პრაქტიკა საქართველოში, 2021). გამონაკლისს წარმოადგენენ ის მიგრანტები, რომლებიც მუშაობენ დიდ კომპანიებში ან კორპორაციებში“, – ნათქვამია ნაშრომში.

მკვლევრები ასკვნიან, რომ მიგრაციის მართვის, მათ შორის, შრომითი მიგრაციის მხრივ, საქართველო ჩამორჩება ევროკავშირის მაღალგანვითარებულ ქვეყნებს; თუმცა, ამ სფეროში მიღწეული გარკვეული შედეგები შემდგომი წინსვლის საფუძველს ქმნის.

ნაშრომის ვრცელი ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ლინკზე:
https://bit.ly/3JVM0o7

ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში

მაია ტორაძე

16 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა კიდევ ერთი ტრენინგი, რომლის თემაც იყო ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში. ტრენინგს უძღვებოდა მოძრაობა „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის“ აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ახმეტელი, რომელიც გაზაფხულის სემესტრიდან ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე კითხულობს მის მიერ CISI პროექტის ფარგლებში მომზადებულ არჩევით კურსს „ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში“.

ტრენინგის მონაწილეები სხვადასხვა საინტერესო თემას გაეცნენ, კერძოდ, კიდევ ერთხელ გაიაზრეს – ვინ არიან შშმ პირები და რა შეფასების მოდელები არსებობს, რა პირობები უნდა ჰქონდეთ სოციალური ფუნქციონირებისთვის. მსმენელებმა იმსჯელეს ძირითად კონვენციებსა და საკანონმდებლო დოკუმენტებზე, რომელიც იცავს შშმ პირების უფლებებს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეებზე.

თსუ-ს შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ მახარაძემ საჭირო და მნიშვნელოვანი უწოდა ამ ტიპის ტრენინგებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისათვის. მისი თქმით, ტრენინგები მათ დაეხმარებათ, რომ მზად იყვნენ სწორად იმუშაონ სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ადამიანებთან“. პროექტის – „ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში“ – მიხედვით, თსუ-ს პერსონალს ჩვენ ვთავაზობთ ტრენინგების სერიას, რომლებიც მათ შშმ პირებთან მუშაობისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესებაში დაეხმარებათ. წინა ტრენინგი ეხებოდა უსინათლო და მცირედმხედველ პირებთან კომუნიკაციისა და მუშაობის თავისებურებებს. ამჯერად კი საუბარი იყო იმ ფილოსოფიურ საფუძველსა და ზოგად პრინციპებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს ინკლუზიური საზოგადოების განვითარებას. ამ ხედვის გაზიარების გარეშე შეუძლებელია თანაბარი გარემოს შექმნა ყველასთვის“, – გვითხრა თამარ მახარაძემ.

ტრენინგი „ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში“ თსუ-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ჩატარდა ერაზმუს+ პროგრამის მხარდაჭერილი პროექტის“ – „ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად“ (Curriculum Innovation for Social Inclusion (CISI)) ფარგლებში.

ᲒᲝᲩᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელის, მეცნიერის, აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსის, არაბისტის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გოჩა ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება და წიგნის — „ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში“ (ტ.2) პრეზენტაცია გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

წიგნში განხილულია საქართველოსა და ისლამური სამყაროს პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის საკითხები ქართული და აღმოსავლური ნარატიული, ეპიგრაფიკული, დოკუმენტური და ნუმიზმატიკური წყაროების საფუძველზე. აქ წარმოდგენილი კვლევები, რომლებზეც ავტორი მრავალი წელი მუშაობდა, ერთი ხაზითაა გაერთიანებული და თემატურად დაჯგუფებული: არაბობა საქართველოში, ეგვიპტის მამლუქები და საქართველო, ქართველები წმინდა მიწაზე, ისლამური და ქართული ნუმიზმატიკა და მეტროლოგია, რეცენზიები.

ღონისძიებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯაბა სამუშია, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი, აკადემიური წრის წარმომადგენლები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

პროფესორ გოჩა ჯაფარიძის სამეცნიერო მოღვაწეობისა და ცხოვრების გზა საკმაოდ შთამბეჭდავი და მასშტაბურია. ის იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, თსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობისა და ჰუმანიტარული ფაკულტეტების დეკანი, 1998-2010 წლებში საქართველოს საელჩოს დესპანი ეგვიპტეში, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქუვეითსა და სპარსეთის ყურის 5 ქვეყანაში (საუდის არაბეთი, კატარი, ბაჰრეინი, ომანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები), საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტესა და სირიაში.

მეცნიერის დიდ სიყვარულსა და პატივისცემას ადასტურებს ის ფაქტი, რომ თსუ-ს მუზეუმი, სადაც ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, გადაჭედილი იყო კოლეგებითა და მოსწავლეებით, რომლებიც საოცარი გულწრფელობითა და სითბოთი გამოხატავდნენ სიყვარულს და პატივისცემას დიდი მეცნიერის მიმართ. ეს ღონისძიება იყო მაგალითი მეცნიერის ნაყოფიერი შრომის დაფასებისა და აღიარებისა, მოსწავლეების გულწრფელი სიყვარულისა და მადლიერებისა, რომელიც ორივე მხარის — პედაგოგისა და შეგირდის წარმატებული მოღვაწეობის საუკეთესო სტიმულატორია.

„გოჩა ჯაფარიძე იყო ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფართო მასშტაბის მეცნიერი, საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის საკვანძო პრობლემათა მკვლევარი. დღეს წარმოდგენილი წიგნი მრავალი კუთხით წარმოაჩენს იმ ისტორიას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლეთის ქვეყნებს, საქართველოს მომიჯნავე ქვეყნებს საქართველოსთან აკავშირებდა. არაბულ წყაროებზე დაყრდნობით, წიგნში წარმოდგენილია მრავალი ახალი მიგნება. ეს არის წიგნი, რომელიც საინტერესოა როგორც მეცნიერებისა და მკვლევრებისთვის, აგრეთვე ძალიან საინტერესო და საჭიროა სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ ისტორიას. გოჩა ჯაფარიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა კიდევ მრავალი წელი იქნება აქტუალური და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის, მკვლევრებისთვის საფუძველი და ინსპირაცია შემდგომი ახალი კვლევებისა“, — განაცხადა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა.

თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ დიდი მეცნიერის მოღვაწეობა ასე შეაფასა და „ძიებანი“-ს მე-3 ტომის გამოცემაც დაანონსა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს. „ბრწყინვალე და სამაგალითო მეცნიერმა გოჩა ჯაფარიძემ შექმნა ეპოქა ქართულ მეცნიერებაში. მას ჰქონდა და აქვს ისეთი დონის მეცნიერული ნაშრომები, რომლებიც ყველა აღმოსავლეთმცოდნისათვის სამაგიდო წიგნებია. „ძიებანი“-ს მე-2 ტომი არის ნაშრომი, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ისტორიული პრობლემატიკის გამოკვეთას და ნათელს მოჰფენს მთელ რიგ საკითხებს საქართველოსა და ისლამური სამყაროს ურთიერთობაში, რაც მხოლოდ ზრდის ნაშრომის სამეცნიერო თუ პრაქტიკულ მნიშვნელობას. კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ საოცარი წიგნის გამოცემას და ვიმედოვნებ, რომ წიგნის მე-3 ტომსაც გამოვცემთ თსუ-ს მონაწილეობით, ეს ვალდებულება გვაქვს ბატონი გოჩას წინაშე!“ — განაცხადა თსუ-ს რექტორმა, პროფესორმა ჯაბა სამუშიამ, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს მხარდაჭერისათვის.

მოწაფეები და უფროსი კოლეგები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ პროფესორ გოჩა ჯაფარიძის ღრმა განსწავლულობასა და მეცნიერული მუშაობის განსაკუთრებულ ნიჭს. ის გახლდათ ფართო ერუდიციისა და მასშტაბური აზროვნების მეცნიერი, მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და ეროვნული ფენომენისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამორჩეული ადამიანი.

ღონისძიებაზე მთავარი მოხსენებით გამოვიდა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის პროფესორი ნანი გელოვანი:

„გოჩა ჯაფარიძის შრომები ქართველოლოგიაში ემყარება არაბულ წყაროებს, რომლებიც კრიტიკულადაა შეჯერებული ქართული და სხვა აღმოსავლური (სპარსული, სირიული, სომხური) წყაროების მონაცემებთან. არაბულ ქვეყნებში ხანგრძლივმა მივლინებებმა მას საშუალება მისცა გასცნობოდა შუა საუკუნეების არაბული ისტორიული, გეოგრაფიული, ბიოგრაფიული და გენეალოგიური ჟანრის პრაქტიკულად თითქმის ყველა გამოცემულ თხზულებას და ხელნაწერებსაც; მან სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ქართული ისტორიოგრაფიისთვის უცნობი მრავალი არაბი მემატიანე, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი ცნობები შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ, წარმოაჩინა VIII-XIV სს. თბილისელ და დმანისელ მუსლიმთა როლი არაბულ-ისლამური კულტურის განვითარებაში“, — განაცხადა პროფესორმა ნანი გელოვანმა, რომელმაც მკვლევრის რამდენიმე ძირითად მონოგრაფიაზეც ისაუბრა ქართველოლოგიაში და აღნიშნა, რომ „გოჩა ჯაფარიძის უკლებლივ ყველა ნაშრომში ჩანს სიახლის ძიება, მძლავრი წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზა, მომიჯნავე დისციპლინების მონაცემთა ღრმა ცოდნა. მას ახასიათებდა მკაცრი აკადემიზმი, სიზუსტე, მეცნიერული სიფრთხილე და თავდაჭერილობა სამეცნიერო კამათსა და დასკვნების გამოტანაში. მას ჰქონდა უნიკალური ლინგვისტური და საარქივო მასალებთან მუშაობის უნარ-ჩვევები და გამოცდილება“. ნანი გელოვანმა დიდი მეცნიერის პედაგოგიურ ღვაწლზეც ისაუბრა: „განსაკუთრებით აღსანიშნავია გოჩა ჯაფარიძის ღვაწლი ახალგაზრდა თაობების აღზრდაში. ის გამოირჩეოდა გასაოცარი ნიჭით — აღმოეჩინა ახალგაზრდებში სამეცნიერო უნარები, გაეღვივებინა ახლის შემეცნების სურვილი და თავისი რჩევებით, კონსულტაციებით თუ კრიტიკული შენიშვნებით მონაწილეობა მიეღო მათ პროფესიულ ზრდაში. პედაგოგის შეფასება სტუდენტის უტყუარი დასკვნაა და რაოდენ სასიხარულოა, რომ თითქმის ყველა სტუდენტი გოჩა ჯაფარიძეს ნამდვილ აღმზრდელს და გზის მაჩვენებელს უწოდებს. თუმცა არა მარტო სტუდენტები — ის უშურველად გადასცემდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას ყველას, ვისაც მისი დახმარება სჭირდებოდა....

სადაც არ უნდა ყოფილიყო – სამეცნიერო, პედაგოგიურ, დიპლომატიურ თუ კულტურულ სივრცეში, ყველგან და ყოველთვის გამოირჩეოდა მისთვის დამახასიათებელი აკადემიურობით, საკითხის ღრმა და ამომწურავი ცოდნით, გულისხმიერებით, ადამიანობით. ის ყოველთვის დედაუნივერსიტეტის განუყრელი მეგობარი და გულშემატკივარი იყო. გოჩა ჯაფარიძემ შექმნა მთელი ეპოქა; მან მეცნიერულ დონეზე გააცნო ახლო აღმოსავლეთი საქართველოს და საქართველო ახლო აღმოსავლეთს“, — აღნიშნა ნანი გელოვანმა, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას, რომელსაც ამ ღონისძიების ჩატარების იდეა ეკუთვნის, ასევე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ნანა გაფრინდაშვილს და ყველას, ვინც გარკვეული წვლილი შეიტანა ამ ღონისძიების ორგანიზებაში.

ქართველმა აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსმა, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რევაზ გაჩეჩილაძემ გოჩა ჯაფარიძესთან ურთიერთობის რამოდენიმე ეპიზოდი გაიხსენა, სადაც დიდი მეცნიერის ნიჭიერებას და განსაკუთრებულ სამეცნიერო უნარებს გაუსვა ხაზი.

„გოჩა სტუდენტობიდანვე გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერებით, ბუნებით ნამდვილი მეცნიერი იყო. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა კიდევ დიდი ხნის მანძილზე იქნება გამოყენებული მეცნიერების მიერ და აქტუალურიც“, — აღნიშნა პროფესორმა რევაზ გაჩეჩილაძემ, რომელმაც დიდი მეცნიერის მოღვაწეობის პირველი ნაბიჯების შესახებ უამბო დამსწრე საზოგადოებას.

გოჩა ჯაფარიძის „ძიებანი“-ს მე-2 ტომის ერთ-ერთმა რედაქტორმა მამუკა წურწუმიამ ისაუბრა მეცნიერის გამორჩეულ ადამიანურ თვისებებზე: „ბატონ გოჩას განსაკუთრებული ადამიანური ხიბლი გააჩნდა, ყველას უხაროდა მასთან ურთიერთობა. ეს წიგნი ადამიანური ვალის დაბრუნებაა, ვალის დაბრუნება იმ ადამიანების მიმართ, რომლის წინაშე ასე დავალებულია ქართული ისტორიოგრაფია. „ძიებანი“-ს მე-2 ტომის წაკითხვის შემდეგ კიდევ ერთხელ დარწმუნდებით გოჩა ჯაფარიძის, როგორც მკვლევრის, მასშტაბურობასა და მისი სამეცნიერო ინტერესების მრავალფეროვნებაში. ის ჭეშმარიტად მსოფლიო კლასის მეცნიერია!

ამ წიგნის გაცნობის შემდეგ მკითხველს წარმოუდგება გოჩა ჯაფარიძე, როგორც

ᲒᲐᲒ. 12

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲢᲠᲐᲕᲛᲣᲚᲘ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲝᲚᲝ�გᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲨᲣᲐᲚᲔᲓᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

ქეთევან ახობაძე

ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲪᲐᲚᲙᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲑᲐᲖᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ. ᲠᲘᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲐᲓ�გᲘᲚᲘ, ᲠᲐᲪ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲖᲔ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲕᲔᲜᲪᲘᲣᲚᲘ ᲖᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲢᲠᲐᲕᲛᲣᲚᲘ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲝᲚᲝ�გᲘᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ? – �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲐᲜᲢᲘ ᲥᲔ�თᲔᲕᲐᲜ ᲐᲮᲝᲑᲐᲫᲔ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ 2018 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲘᲙᲕᲚᲔᲕᲡ. ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲝ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲡ, ᲔᲠᲗᲘ ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲚᲘᲡ – Მ. ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ �გᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ 4 �თᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ, ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲢᲠᲐᲕᲛᲐᲢᲘᲖᲛᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲕᲐᲠᲓᲜᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲘᲧᲝ �გᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 30%-Ს ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲡᲭᲘᲠᲓᲐ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲥᲔ�თᲔᲕᲐᲜ ᲐᲮᲝᲑᲐᲫᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ, ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲢᲠᲐᲕᲛᲣᲚᲘ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲨᲔᲡ�წᲐᲕᲚᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ. ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ 2015-2020 ᲬᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ. ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲐᲜᲢᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲑᲝᲚᲝ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲒᲔ�გᲛᲐᲕᲡ. ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲗᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲨᲘ ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ. Ი�გᲔ�გᲛᲔᲑᲐ �გᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲔᲡᲢᲠᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲪ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲨᲣᲐᲚᲔᲓᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ – �თᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ (ᲜᲣᲚᲘᲓᲐᲜ 15 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲗᲐ – 15-ᲓᲐᲜ 19 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ) ᲢᲠᲐᲕᲛᲐᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ, ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲑᲘᲗ, ᲠᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘᲗ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲢᲠᲐᲕᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ, ᲣᲙᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ.

„ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ, ᲢᲠᲐᲕᲛᲐᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ �გᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ �გᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲠᲓᲜᲐᲐ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲙᲘ – ᲐᲕᲢᲝᲡᲐ�გᲖᲐᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲠᲔ�გᲣᲚᲐᲪᲘᲔᲑᲘ �გᲐᲛᲙᲐᲪᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗᲐᲪ, ᲐᲕᲢᲝᲡᲐ�გᲖᲐᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ, 10-ᲓᲐᲜ 19-ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲕ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲐ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲣᲤᲝᲠᲘ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ 1-ᲓᲐᲜ 4 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ. ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ, ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ, 5 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲕ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲣᲚᲝᲑᲐᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲢᲠᲐᲕᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ �გᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲥᲪᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ Ს�პᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗᲐᲐ �გᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ. 14 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲗᲐᲠᲗᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲕᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲪ.

ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ 5 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲕ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲛᲝᲜᲬᲐᲛᲕᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲬᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ. ᲛᲝᲜᲬᲐᲛᲕᲚᲐ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, �გᲐᲜ�პᲘᲠᲝᲑᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲛ ᲨᲮᲐᲛ-ᲥᲘᲛᲘᲙᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲕᲘᲧᲔᲜᲔᲑᲗ ᲓᲐ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲛᲔᲓᲘᲙᲐᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲗ – ᲤᲡᲘᲥᲝᲢᲠᲝᲞᲣᲚᲘ, ᲙᲐᲠᲓᲘᲝᲕᲐᲡᲙᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲘᲔᲞᲘᲚᲔᲤᲡᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ“, – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲥᲔ�თᲔᲕᲐᲜ ᲐᲮᲝᲑᲐᲫᲔ.

ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲪᲐᲚᲙᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲑᲐᲖᲔᲑᲘ �წᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ. ᲠᲘᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲐᲓ�გᲘᲚᲘ, ᲠᲐᲪ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲖᲔ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲕᲔᲜᲪᲘᲣᲚᲘ ᲖᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ.

„ᲪᲝᲢᲐ ᲠᲗᲣᲚᲘᲐ – ᲔᲥᲘᲛᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲚᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲐᲓᲠᲛᲐ ᲨᲔᲘᲗᲐᲕᲐᲡᲝᲡ ᲔᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ, ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲓᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲐᲛᲝᲛᲬᲣᲠᲐᲕ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ“, – ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ ᲥᲔ�თᲔᲕᲐᲜ ᲐᲮᲝᲑᲐᲫᲔ.

ᲥᲔ�თᲔᲕᲐᲜ ᲐᲮᲝᲑᲐᲫᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲙᲝᲕᲘᲓᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲢᲠᲐᲕᲛᲐᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2019 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲛᲖᲐᲠᲓᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲗ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲙᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲑᲝᲚᲝ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ �გᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲢᲠᲐᲕᲛᲐᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲣᲠᲐᲗᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲙᲐᲤᲘᲝᲡ �გᲐᲮᲓᲘ.

ᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲥᲔ�თᲔᲕᲐᲜ ᲐᲮᲝᲑᲐᲫᲔ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲗ ᲢᲠᲐᲕᲛᲐᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲕᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲡᲐᲪ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ.

�გᲝᲩᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ

ᲛᲔ-11 ᲒᲕ-ᲓᲐᲜ

ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲣᲞᲝᲕᲐᲠᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲪᲓᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲔᲑᲡᲐᲪ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ **ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲬᲣᲠᲬᲣᲛᲘᲐᲛ**, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲖᲔ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲛᲐ, �პᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜ �გᲐᲠᲓᲐᲕᲐᲫᲔᲛ �გᲝᲩᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ �გᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲫᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛ „ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ �გᲠᲫᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲒᲖᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲗᲡᲣ-Ს ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲐᲓ�გᲘᲚᲘᲪ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲔᲓᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲛᲠᲩᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲦᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ! ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ, �თᲡᲣ-ᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲛ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲘᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲔᲑᲔᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗ. ᲡᲐᲜᲐᲛ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲡ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲔᲜ, ᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲐ!“ — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ **ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜ �გᲐᲠᲓᲐᲕᲐᲫᲔᲛ**, ᲠᲝ

ახალი წიგნი – „გერმანული ენათმეცნიერების ასპექტები“ – გამოიცა

თამარ დადიანი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ ლალი ქეცბა-ხუნდაძესა და ცნობილ გერმანელ მეცნიერ დიტრიხ ბუსეს შორის ურთიერთთანამშრომლობით 7 წლის განმავლობაში დამუშავებული ახალი წიგნი – „გერმანული ენათმეცნიერების ასპექტები“ – გამოიცა.

სახელმძღვანელო შეიქმნა ავტორების მრავალწლიანი თანამშრომლობის შედეგად ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტსა და თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრას შორის ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობის ფარგლებში გერმანისტიკის დარგში, რომელიც გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD-ის) მხარდაჭერით (2008- 2017 წ.წ.) განხორციელდა.

წიგნი ეფუძნება ორივე ავტორის თითქმის ორმოცწლიან გამოცდილებას გერმანული ფილოლოგიის დარგში. წიგნი იმდენად პოპულარულია, რომ მსოფლიო უნივერსიტეტების თითქმის ყველა გერმანისტიკის ცენტრმა შეისყიდა, ისე, რომ წიგნის დაბეჭდვა თავიდან დასჭირდათ. წიგნი ცნობილ სავაჭრო პლატფორმა „ამაზონზე“ რამდენჯერმე ამოიყიდა.

ახალი გამოცემის – „გერმანული ენათმეცნიერების ასპექტები“ – შესახებ გვესაუბრება თსუ-ს პროფესორი ლალი ქეცბა-ხუნდაძე:

„გერმანული ენათმეცნიერების სფეროები მეტად მრავალფეროვანი და მოცულობითია. გერმანისტიკის/გერმანული ფილოლოგიის სტუდენტისთვის გერმანული ენათმეცნიერების ცნებები და თეორიული პოსტულატები, შესაძლოა, თავდაპირველად, მეტად რთული და დამაბნეველიც კი იყოს. ეს წიგნი შემსწავლელს ეხმარება კომპაქტურად მიწოდებული მასალის საფუძველზე შეიქმნას არსებითი და ზუსტი წარმოდგენა გერმანული ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანეს ასპექტებზე. მათი ამოსავალი ცნებებისა და მეთოდების შესწავლა წინამდებარე სახელმძღვანელოს მეშვეობით თანდათანობით, სისტემატურად ხორციელდება, ხოლო საგნის შემსწავლელთ, რომელთათვისაც გერმანული დედა ენაა ან უცხოელ სტუდენტებს, რომლებიც გერმანულ ენას, როგორც პირველ ან მეორე უცხო ენას, სწავლობენ, შეუძლიათ მაგალითებით, ამოცანებით ან საკითხავი მასალით – სპეციალური ტექსტებიდან მიიღონ ლინგვისტური ცოდნა, დააფიქსირონ და გაიღრმავონ ის. წიგნის სამიზნე ჯგუფებია: გერმანისტიკის შემსწავლელი ბაკალავრიატის სტუდენტები, რომელთა დედაენაც გერმანულია და მაგისტრატურის სტუდენტები, რომელთათვისაც გერმანული პირველი ან მეორე უცხო ენაა.

სახელმძღვანელო ეძღვნება გერმანისტიკის ქვედარგის – გერმანული ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანეს ასპექტებს. წიგნი ხელს უწყობს გერმანული ენათმეცნიერების სწავლებასა და სწავლას არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული ნაწილითაც: შეთავაზებული სავარჯიშოებით, რაც ხელს უწყობს მიღებული თეორიული ცოდნის ათვისებასა და გაღრმავებას.

გერმანულ ფილოლოგიაში ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის შესავალი კურსების მრავალწლიანი სწავლების, არა მხოლოდ ლექციების, არამედ სემინარების და პრაქტიკული მეცადინეობების გამოცდილების საფუძველზე, გერმანული ენათმეცნიერების ასპექტების სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე გაღრმავების გათვალისწინებით, ჩვენ ეს კურსი მაქსიმალურად კომპაქტურად შევადგინეთ გერმანული ენათმეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ასპექტების გათვალისწინებით.

ყოველი თავი შევსებულია დანართში მოცემული, ცალკეული ასპექტებისთვის აუცილებელი სპეციალური ლიტერატურის ჩამონათვალით, სავარჯიშოებით, რომლებიც სწავლებასა და (მათ შორის დამოუკიდებლად) სწავლაში უნდა იყოს გამოყენებული. „გერმანული ენათმეცნიერების შესავალი, ისტორია, ტენდენციები და სფეროები“; „ფიქრი და განსჯა ადამიანური ენის რაობაზე“; „ენათმეცნიერების ძირითადი ცნებები, ენის მასალა I ბგერები,მარცვლები, მორფემები და ენის მასალა II: სიტყვები, სიტყვების სტრუქტურები, სიტყვაწარმოება, სიტყვის მნიშვნელობა“; „ენობრივი გამონათქვამების სტრუქტურა I: წინადადებები, წინადადებების სტრუქტურები, სიტყვაწარმოება, სიტყვის მნიშვნელობა“ და „ენობრივი გამონათქვამების სტრუქტურა II: ტექსტები, ტექსტების სტრუქტურები, ტექსტის მნიშვნელობა“; „ენობრივი გამონათქვამების ფუნქციები და გამოყენება: სამეტყველო აქტები და ლინგვისტური პრაგმატიკის სხვა ასპექტები“ და სხვა – ეს წიგნის შინაარსის მოკლე ჩამონათვალია“...

* * *

როგორ შედგა პროფესორ ლალი ქეცბა-ხუნდაძის თანამშრომლობა ცნობილ გერმანელ მეცნიერთან დიტრიხ ბუსესთან? – ამ კითხვაზე წიგნის თანაავტორი თვითონ გვიამბობს:

„ჩემი თანამშრომლობა პროფესორ დიტრიხ ბუსესთან დაიწყო 2008 წელს, როცა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრასა და ჰაინრიხ ჰაინეს უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტს შორის გაფორმდა ინსტიტუტთაშორისი თანამშრომლობა გერმანისტიკის დარგში. პროფესორი დიტრიხ ბუსე მაშინ ენათმეცნიერების კათედრის ხელმძღვანელი იყო, ახლა ის ემერიტუს პროფესორია. სწორედ მაშინ დაიგეგმა საერთაშორისო პროექტი – გერმანული ენათმეცნიერების ძირითადი ასპექტები, რომელზეც მუშაობა ერთ ათწლეულზე მეტ ხანს გაგრძელდა.

* * *

დიტრიხ ბუსე არის ცნობილი ენათმეცნიერი, რომელიც მუშაობს სემანტიკის დარგში და მრავალ სხვა ნაშრომთან ერთად 2012 წ. გამოქვეყნებული აქვს „ფრეიმების სემანტიკის კომპენდიუმი“ (Frame Semantik Kompendium). ასევე ცნობილია მისი ნაშრომები: „სამართალი, როგორც ტექსტი“, „დიაქრონიული სემანტიკა და პრაგმატიკა“, „დედა ენა, იდენტობა და ერი“, „იურიდიული სემანტიკა“ და ბოლო წლებში ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება დისკურსის ლინგვისტურ ანალიზს.

* * *

წიგნის პრეზენტაცია წარმატებით ჩატარდა 2022 წლის მაისში ჰაიდელბერგის რუპრეხტ-კარლის სახელობის უნივერსიტეტის გერმანისტიკის კათედრასა და ამავე უნივერსიტეტის თარგმნისა და თარჯიმნობის ინსტიტუტის ორგანიზებით, რომელიც 2018 წლიდან თსუ-ს გერმანული ფილოლოგიის კათედრის პარტნიორია ინსტიტუტთაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში გერმანისტიკის დარგში.

თსუ-ს მეცნიერები შუასაუკუნეების ლეჩხუმის კულტურულ მემკვიდრეობას შეისწავლიან

მაია ტორაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის მეცნიერებმა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსება მოიპოვეს პროექტისთვის – „ლეჩხუმი: შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა“.

პროექტი სამწლიანია და მის განხორციელებაში ჩართულნი არიან: **ნათელა ჯაბუა**, პროექტის ხელმძღვანელი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი; **თამარ ლეთოდიანი**, კოორდინატორი, თსუ-ს დოქტორანტი; **ზაზა სხირტლაძე**, მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის დირექტორი; **ნინო შიოლაშვილი**, მკვლევარი, ისტორიის დოქტორი; **ჯულია ბენიძე**, თსუ-ს დოქტორანტი; **ერიკ თუნო**, უცხოელი კონსულტანტი, პროფესორი.

პროექტის საკვლევ ობიექტს წარმოადგენს ლეჩხუმის შუა საუკუნეების საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობები, სიძველეთსაცავებში დაცული რელიქვიები (ხატები, ჯვრები და ხელნაწერები), რომელთა სისტემური სამეცნიერო შესწავლა ჯერ კიდევ არ განხორციელებულა.

რეგიონის ჰიდრო პოტენციალის გამოყენების საკითხმა ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახადა და დროული კვლევების ჩატარების აუცილებლობა კიდევ უფრო საშურ საქმედ წარმოაჩინა.

პროექტი ითვალისწინებს ძეგლების რაოდენობრივ-თვისობრივი მახასიათებლების დაფიქსირებას და ფოტოფონდების, საარქივო დოკუმენტების, მეცნიერთა პირადი არქივების მიხედვით კვლევას. ამავდროულად, განხორციელდება მათი დღევანდელი მდგომარეობის ფიქსაცია (ძეგლის აზომვა/ფოტოგადაღება/სქემების გადმოღება), ჩატარდება ძეგლების აღწერა-ანალიზი, აღინუსხება არქივებში დაცულ დოკუმენტებში დაფიქსირებულ მდგომარეობასთან შედარებითი ცვლილებები.

როგორც პროექტის აღწერით ნაწილშია მოცემული, „საარქივო და საველე პირობებში მოპოვებული მასალების შესწავლა-შეჯერების შემდგომ დადგინდება ლეჩხუმის შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ერთიანი ნუსხა და მოხდება მათი სათანადო კვლევა-ანალიზი; შეირჩევა საკითხი და გამოქვეყნდება სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალში; მოეწყობა გამოფენები თბილისსა და ცაგერში; კვლევის საბოლოო შედეგები აისახება შემაჯამებელ ნაშრომში – ელექტრონულ და მის ანალოგ ნაბეჭდ წიგნში, სადაც წარმოდგენილი იქნება მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობილი ფუნდამენტური კვლევა. შედეგად, სამეცნიერო მიმოქცევაში მოექცევა ძალზე ღირებული ინფორმაცია, რომელიც უდავოდ დიდ წვლილს შეიტანს როგორც კონკრეტული რეგიონის, ასევე, ზოგადად, ქართული ხელოვნების კვლევის საქმეში“.

აღნიშნული პროექტი პირველი მცდელობაა ლეჩხუმის შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის მასშტაბური კვლევა-წარმოჩენისა. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ნაკლებად შესწავლილი მხარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების წარმოჩენას, მომიჯნავე კუთხეებთან ურთიერთმიმართების გამოვლენას და ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული პროცესების შესწავლაში მისი როლის უკეთ გააზრებას.

პროექტის განხორციელება მოხდება ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდებით. გამოყენებული იქნება ისტორიოგრაფიული მეთოდი (ლეჩხუმის რეგიონის ისტორიულ-გეოგრაფიულ ჭრილში განხილვა და მისი ბუნებრივი მახასიათებლების ხაზგასმა) და სახელოვნებათმცოდნეო მეთოდი (არქიტექტურისა და ხელოვნების ნიმუშების შესწავლისას მათი აღწერის, ანალიზის, პარალელურ ძეგლებთან ურთიერთშედარების და მხატვრულ-სტილისტური მახასიათებლების გამოვლენის პროცესში).

აღსანიშნავია, რომ, გარდა სამეცნიერო ღირებულებებისა, პროექტი პრაქტიკულ შედეგებს მოიტანს რეგიონში კულტურული ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, რაც ეხმიანება ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ მიმართულებას – ტურიზმის სექტორის ხელშეწყობას.

პროექტის თანამონაწილეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც მეცნიერებს საშუალებას მისცემს – გამოიყენონ მისი სამუშაო და საგამოფენო სივრცეები და საბიბლიოთეკო რესურსი, ხოლო ფიზიკური პირის – მაკა ასათიანის თანამონაწილეობით პროექტის ავტორები შეძლებენ შუა საუკუნის ლეჩხუმის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ წიგნის გამოცემას.

ᲚᲔᲘᲚᲐ ᲒᲔᲒᲣᲩᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი ლეილა გეგუჩაძე.

ლეილა გეგუჩაძემ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ამ საუკუნის 10-იან წლებამდე, საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ სტუდენტობიდან თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენის კათედრის პროფესორობამდე – გრძელი და საინტერესო გზა გაიარა: ფილოლოგიის ფაკულტეტისა და ასპირანტურის კურსის წარჩინებით დამთავრებისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ (იხ. მისი მონოგრაფია – „მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხები რთულ კონსტრუქციებში“, თბილისი, 2005წ.) მოღვაწეობდა არა მხოლოდ თსუ-ს ახალი ქართული ენის კათედრაზე (მასწავლებლად, დოცენტად, ასოცირებულ პროფესორად), არამედ ფილოლოგიის ფაკულტეტზე აქტიურ ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ მოვალეობებსაც ასრულებდა: იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში; ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი; რედაქტორობდა თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერების შრომებს; იყო სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის – „ბურჯი ეროვნებისა“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი; ჰუმანიტარული ფაკულტეტის საგამომცემლო კოლეგიის წევრი, ფილოლოგიის სპეციალობის დარგობრივი კომისიის ხელმძღვანელი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (ქართული ენის დეპარტამენტის) ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა საექსპერტო კომისიის წევრი; ხელმძღვანელობდა საკანდიდატო დისერტაციებს; თანამშრომლობდა რესპუბლიკისა და ქალაქის პედაგოგთა დახელოვნების ინსტიტუტებთან: ატარებდა პერიოდულ ლექციებს საჯარო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის...

ლეილა გეგუჩაძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის უცხოელთათვის ქართული ენის სწავლების სფეროში: გარდა მათთან პრაქტიკული მუშაობისა, მას გამოცემული აქვს ქართული ენის სახელმძღვანელოები უცხოელთათვის ინგლისურ და სპარსულ ენებზე.

ლეილა გეგუჩაძის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ის, რომ თბილისის სამუსიკო სტუდიის დასრულების შემდეგ იგი ფორტეპიანოს პედაგოგადაც მუშაობდა; 1994 წლიდან კი დღემდე თბილისის სასულიერო აკადემიაში მოღვაწეობდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი კათედრის ძველი და ღვაწლმოსილი წევრის, პრინციპული და ჭეშმარიტი პედაგოგის, საიმედო კოლეგისა და მეგობრის, ქართული ენის გულშემატკივრისა და მუხლჩაუხრელი მოღვაწის – პროფესორ ლეილა გეგუჩაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

თსუ ქართული ენის ს/ს ინსტიტუტი

ᲔᲗᲔᲠ ᲡᲐᲠᲯᲕᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარკეტინგის კათედრას გამოაკლდა ღირსეული წევრი, ეკონომიკის დოქტორი, ქალბატონი ეთერ სარჯველაძე, რომელმაც ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ იმიერ საქართველოში გადაინაცვლა. ის რამდენიმე ათეული წელი ღირსეულად ემსახურებოდა ახალგაზრდების სწავლა-განათლების საქმეს, რის გამოც სტუდენტები, კათედრის წევრები და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხელმძღვანელობა მას პატივს სცემდა.

ქალბატონი ეთერი 1948 წლის 25 სექტემბერს დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობისა და ექსპერტიზის სპეციალობით.

ქალბატონი ეთერის საქმიანობა მუდმივად იყო თსუ-სთან დაკავშირებული. მას ძალიან უყვარდა სტუდენტები და მათ მიმართ ყოველთვის სითბოსა და სიყვარულს გამოხატავდა. ამასთან, შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ქალბატონი ეთერი მუდამ ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე იდგა. ის იყო სურსათის ექსპერტი და, ამ კუთხით, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო გრანტებსა და პროექტებში. ქალბატონი ეთერი საკმაოდ ხშირად სატელევიზიო ეთერიდან შეახსენებდა მოსახლეობას ჯანსაღი, დაბალანსებული კვების მნიშვნელობას და ჰიპოკრატეს სიტყვებს – „დაე, კვება იყოს თქვენი მედიცინა და საკვები – თქვენი წამალი“.

ქალბატონი ეთერ სარჯველაძის სახით ოჯახმა დაკარგა საუკეთესო მეუღლე და დედა, მარკეტინგის კათედრამ კი – გულისხმიერი პედაგოგი და თანამშრომელი, თავისი საქმის პროფესიონალი, რომელიც მუდამ იღიმებოდა და პატივისცემას გამოხატავდა კოლეგების მიმართ.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მარკეტინგის კათედრა

ᲑᲔᲭᲐᲜ ᲗᲣᲗᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ერთი წელი გავიდა პროფესორ ბეჟან თუთბერიძის გარდაცვალებიდან.

ქართულ გეოლოგიურ სკოლას შესანიშნავი მოქალაქე და მეცნიერი გამოაკლდა; სამწუხაროა, დღეს რომ ბატონი ბეჟანის გახსენება გვიწევს.

1969 წელს ბეჟან თუთბერიძემ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოლოგიური აგეგმვისა და სასარგებლო ნამარხთა საბადოების ძებნის სპეციალობით და, შემდგომ, თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა მთლიანად დაუკავშირა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც მან საინტერესო გზა განვლო ლაბორანტიდან პროფესორამდე;

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი დატოვეს მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრაზე ლაბორანტად. 1972-1978 წწ იყო მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის პეტროქიმიის ლაბორატორიის გამგე. 1970-1974 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში. 1975 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1994 წელს, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, მინერალოგია-პეტროგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება მიენიჭა. ბატონი ბეჟანი გახლდათ: 2003-2005 წწ თსუ-ს გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი; 2005-2007 წწ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გეოლოგიის მიმართულებით; 2007-2011 წლებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი; 2011 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მინერალოგია-პეტროგრაფიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის გამგე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოსა და ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ბატონი ბეჟანი იყო გეოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, თსუ-ს სადისერტაციო საბჭოს გეოლოგიური სექციის თავმჯდომარე, საქართველოს მინერალოგიური საზოგადოების წევრი.

ბეჟან თუთბერიძე კითხულობდა ლექციების კურსს გეოლოგიის დარგის მაპროფილებელ დისციპლინებში მინერალოგიასა და პეტროლოგიის მიმართულებით; ხელმძღვანელობდა სტუდენტთა საველე პრაქტიკებს, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს; მონაწილეობდა მრავალ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, კონგრესებში, სიმპოზიუმებსა და სამეცნიერო კონფერენციებში და, განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბატონი ბეჟანი სიცოცხლის ბოლომდე ჩვეული, უშრეტი ენერგიით ხელმძღვანელობდა საველე სამეცნიერო ექსპედიციებს.

იგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით /2003 წ/.

ფართო იყო ბეჟან თუთბერიძის სამეცნიერო ინტერესები. მისი სამეცნიერო კვლევის სფერო ეხებოდა ვულკანოლოგიის, გეოქიმიის, პეტროლოგიისა და მინერალოგიის საკითხებს.

მის კვლევებში განხილულია ხმელთაშუაზღვიურ-ალპური ნაოჭა სარტყლის-კავკასიის სეგმენტის ნეოგენურ-ანთროპოგენური ვულკანიზმის განვითარების კანონზომიერების, მათი პროდუქტების ნივთიერი შედგენილობისა და გამოვლინების გეოდინამიური პირობები – მაგმური პეტროლოგიის გადაფასებისა და ლითოსფერული ფილების ტექტონიკის კონცეფციის ფარგლებში;

მან შეისწავლა საქართველოს ნეოგენურ-ანთროპოგენურ ვულკანიზმთან დაკავშირებული პოსტვულკანური ჰიდროთერმული მინერალიზაციის პროცესები.

ბეჟან თუთბერიძის მეცნიერული საქმიანობა მარტო თეორიული კვლევებით არ შემოიფარგლებოდა. მან მოგვცა საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინებული ნეოგენურ-ანთროპოგენურ ვულკანიზმთან დაკავშირებული მადნეულ და არამადნეულ სასარგებლო წიაღისეული საბადოების დეტალური საძიებო-შეფასებითი და საძიებო-დაზვერვითი სამუშაოების ჩატარების პრაქტიკული რეკომენდაციები.

ახალქალაქისა და დმანისის პლატოს დოლერიტებში მის მიერ პირველად მიკვლეულია მინერალი შაბაზიტის არსებობა. აკადემიკოს ნ. სხირტლაძესთან ერთად სამსარის კალდერის ვულკანიტებში პირველად აღმოჩენილი და შესწავლილია ჰემატიტისა და ალუნიტის გამოვლინებები.

ბატონი ბეჟანი აქტიურად იყო ჩართული ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსის კონსერვაციის გეგმის სტრატეგიისა და ქვათაცვენის შეჩერების გადაუდებელი ქმედებების შემმუშავებელ კომისიაში. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში შეისწავლა ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ამგები ქანების პეტროლოგია.

იგი მონაწილეობდა ინტერდისციპლინურ კვლევებში არქეოლოგებთან, ფიზიკოსებთან, ქიმიკოსებთან ერთად. მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა წარმოადგენს ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევის სინთეზს. ჩატარებული კვლევის შედეგები ასახულია 100-ზე მეტ მეცნიერულ ნაშრომსა და ორ მონოგრაფიაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი მომავალი თაობების აღზრდის საქმეში – მისი ხელმძღვანელობით არაერთმა ახალგაზრდამ დაიცვა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი. ბეჟან თუთბერიძის „მინერალოგია“ და „მაგმური ქანების პეტროლოგია კრისტალოოპტიკის საფუძვლებით“ წარმოადგენს ფუნ-

ᲒᲐᲒ. 15

თსუ-ში საბავშვო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სამართლის კურსი მიმდინარეობს

ნატო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სკოლის მოსწავლეებისთვის თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სამართლის კურსი მიმდინარეობს. ლექციებს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ნიკა თომასიანი უძღვება. კურსი 8 შეხვედრას მოიცავს, სადაც მოსწავლეები სამართლის არსს, დარგის მიმართულებებსა და რეგულირების სფეროებს მათთვის ადაპტირებული მეთოდით ეცნობიან. პირველი ლექცია სამართლის არსის, სამართლის დარგების, საქართველოს კონსტიტუციის, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების საკითხებს დაეთმო. კურსი 9-12 კლასის მოსწავლეებისთვის არის გამიზნული.

„ეს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტისა და საბავშვო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტია. სკოლის მოსწავლეებს ვაწვდით ინფორმაციას სამართლის დარგისა და იურისტის პროფესიის შესახებ. მაგალითად, პირველ ლექციაზე ვისაუბრეთ სამართლის არსზე, ადამიანის უფლებებზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე და მასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე. ვფიქრობ, ეს პროექტი ორმხრივად სასარგებლოა — მოსწავლეები იურისტის პროფესიის შესახებ მიიღებენ ძირითად ინფორმაციას და მნიშვნელოვანია ჩემთვის, როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტისთვის, რადგან სამომავლოდ ვგეგმავ პედაგოგიურ საქმიანობასაც და შესაბამის გამოცდილებას შევიძენ“, — ამბობს ნიკა თომასიანი.

„ნიკამ თავადააწყო სალექციო კურსი, რომელსაც მოსწავლეებს უკითხავს. პირველი ლექცია 1 საათის ნაცვლად 2 საათი მიმდინარეობდა, რაც აუდიტორიის ინტერესით იყო გამოწვეული, რადგან ძალიან მარტივად და, ამავე დროს, კომპეტენტურად მიაწოდა სამართლის შესახებ პირველი ლექციის გეგმით გათვალისწინებული ინფორმაცია.

სამართალი, როგორც ცალკე საგანი, სკოლებში არ ისწავლება და სწორედ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ჩვენი პროექტის საშუალებით მათ მივაწოდოთ ის ცოდნა, რაც პროფესიის გააზრებული არჩევანის გაკეთების საშუალებას მისცემთ“, — აღნიშნა თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტის კოორდინატორმა მარინე ლომოურმა.

თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტის სამართლის კურსი საუდიტორიო ფორმატით მიმდინარეობს. პროექტის კოორდინატორები ონლაინ კურსის ორგანიზებას, რომელიც, ძირითადად, რეგიონების სკოლების მოსწავლეებისთვის იქნება განკუთვნილი, სამომავლოდ გეგმავენ.

ნელი სალაძის უნივერსიტეტი

საქართველოს საუკეთესო მწვრთნელთა ათეულში დასახელებული, ქართველი სპორტული ტანმოვარჯიშე, თსუ-ს კურსდამთავრებული ნელი სალაძე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ წერილს უგზავნის, რომლის გამოქვეყნებაც გადავწყვიტეთ.

ჩემი უნივერსიტეტი

უნივერსიტეტი სალოცავი ტაძარია მათთვის, ვისაც აქ უსწავლია. მრავალი წელი გავატარე უნივერსიტეტში: დავამთავრე ბიოლოგიის ფაკულტეტი, შემდგომ დასავლეთ ევროპული (ინგლისური ენის განხრით). მრავალი წელი ვვარჯიშობდი პირველი კორპუსის სპორტ დარბაზში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სახელოვანი სპორტსმენის, ფიზკულტურის კათედრის გამგის – ელენე მოკიელის თხოვნით დავრჩი სამუშაოდ კათედრაზე. ახლა ხშირად მიხდება გავლა უნივერსიტეტის წინ, რადგან იქვე ვცხოვრობ. გავდივარ და შინაგანად ვხარობ, როცა გამივლიან ჟივილ-ხივილით ახალგაზრდები და მეც, თითქოს ამდენმა წლებმა არ გაიქროლეს, მათთან ერთად ჩაბმული ვარ ამ სვლაში, მაგრამ, ალბათ, მაინც განსხვავდება ჩემი და მათი ემოციები – თუ რამდენად მათია უნივერსიტეტი და რამდენად – ჩემი.

ერთი სიტყვით, მივიღე ქალბატონი ელენეს წინადადება და დავრჩი სამუშაოდ უნივერსიტეტში. დამრჩა განცხადების დაწერა. ბევრჯერ მიცინია, ამდენი მისწავლია, კარგი სკოლა, უნივერსიტეტი და აი, მოვედი კათედრაზე და არ ვიცი – როგორ დავწერო უბრალო განცხადება. კათედრაზე ლაბორანტმა ქალბატონებმა – ლილიმ და თამარამ დამაწერინეს: „გთხოვთ, მიმიღოთ საათობრივი ანაზღაურების წესით.“ შემდეგში თითქოს ვიმართლებდი თავს, რომ ყველაფერს თავისი წესი აქვს, აბა საიდან უნდა მცოდნოდა ფორმულირება – „საათობრივი ანაზღაურების წესით“ ანაზღაურება მეტად მცირე რომ იყო. ყოველი თვის ბოლოს პირველი კორპუსის მეორე სართულზე პატარა ფანჯარასთან დგებოდა თანამშრომლების უსაზღვრო რიგი. სანამ ჩვენი რიგი მოვიდოდა, ვათვალიერებდი გამვლელ-გამომვლელებში ვინ იყო ხალისიანი, ლაღი, სერიოზული, ჩაფიქრებული, ნელი, ჩქარი … ძალიან გავერთე ყურებით, დროს ვერ ვგრძნობდი. უცბად დავინახე მოხუცი, რომელსაც ხშირად შეხვდებოდით უნივერსიტეტში. ალბათ უწინ მტკიცედ მიაბიჯებდა დერეფანში. ახლა მოკუნტული დადიოდა მომღიმარე სახით თავისი პატარა ცილინდრით და მზერით არ ტოვებდა გამვლელებს. თითქოს ეძებდა – ვინ შეხედავდა, მიესალმებოდა, რაღაცას ეტყოდა, მაგრამ არავის ეცალა მისთვის. ვიდექი ჩუმად და ამ დროს რაღაც უფრო და უფრო ღვივდებოდა ჩემში. ჩავსახლდი მის სულში, მის ემოციებში. „ჩემია უნივერსიტეტი“ – იხედებოდა ის აქეთ იქით, „ჩემია უნივერსიტეტი“ – მაგრამ პასუხი არ იყო, არავის არ ქონდა საქმე მასთან. ვუყურე, ვუყურე და შევშინდი, რომ არ შეცვალა გონება. ასე გაიარა და დავრჩი ჩაფიქრებული. რიგში დგომამ დამღალა, მაგრამ რიგის მადლიერი ვარ. გაიარა დამსახურებულმა უხუცესმა და ჩემი დგომა რიგში დამძიმდა, მაგრამ რას იზამ, რიგი რიგია… უცებ შორიდან დავინახე მოხუცი, რომელიც უკან ბრუნდებოდა. გამოვედი რიგიდან, წავედი შორს მოპირდაპირე მიმართულებით და დავიწყე სვლა მოხუცისკენ, მის შესახვედრად და როცა მას მივუახლოვდი, თბილი ღიმილით მივეგებე, მოვიკითხე, ისე ვესაუბრე, თითქოს კარგი ნაცნობი ვიყავი. მთავარი იყო რაღაცა მეთქვა. თითქოს სახე გაუნათდა, თითქოს წელში გაიმართა და ფეხქვეშ მყარი ფუნდამენტი იგრძნო. დავბრუნდი რიგში, გამყვა უცნაური კმაყოფილების გრძნობა. ვფიქრობდი – ალბათ მოხუცი ჩაძინებისას ხშირად იხსენებს უნივერსიტეტში განვლილ წლებს. და იმ დღესაც ალბათ იჩემებდა „აბა რა, ჩემია უნივერსიტეტი“ და ტკბილად დაეძინა. ამ ტკბილი ძილის ერთ-ერთი ავტორი შეიძლება მე ვიყავი.

P.S. ნელი სალაძე — სსრკ ორგზის ჩემპიონი ჯგუფურ ვარჯიშში, სსრკ უნივერსიადაში გამარჯვებული. მწვრთნელად მუშაობა დაიწყო 1971 წლიდან, იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, სსრკ ნაკრების მწვრთნელთა შტაბის წევრი. მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა ნაკრები აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

მე-14 გვ-დან

დამენტალურ სახელმძღვანელოებს გეოლოგიური სპეციალობის სტუდენტებისთვის.

ბატონი ბეჟანი განუწყვეტლივ ზრუნავდა გეოლოგიური კადრების მოზიდვასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე. „გეოლოგის პროფესია ჭკვიანი და მამაცი ადამიანების პროფესიააო“, – ამბობდა ის და ენერგიას არ იშურებდა, რათა სტუდენტებისთვისაც გაეღვივებინა პროფესიისადმი სიყვარული. საველე პრაქტიკები და ექსპედიციები კიდევ უფრო მეტად აახლოვებდა მას სტუდენტებთან, მისთვის ძვირფასი იყო თითოეული მათგანი. სტუდენტებისთვის ჯერ მასწავლებელი, მერე კი უფროსი მეგობარი და კოლეგა იყო.

ბატონი ბეჟანი განსაკუთრებული მადლიერებით იხსენებდა მის მასწავლებლებსა და უფროს კოლეგებს. ყოველ წელს გეოლოგიის დეპარტამენტში ტარდებოდა მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. ამ თვალსაზრისით სამაგალითოა მისი დამოკიდებულება აკადემიკოს ნიკოლოზ სხირტლაძის მიმართ. მისთვის იგი არა თუ მასწავლებელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო, არამედ – უფროსი მეგობარიც იყო.

ფასდაუდებელია ბეჟან თუთბერიძის როლი გეოლოგიის დეპარტამენტისა და მინერალოგიის სასწავლო-სამეცნიერო მუზეუმ-ლაბორატორიის კეთილმოწყობაში. 2008 წელს, როცა თსუ-ს პირველ კორპუსში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო გეოლოგიის დეპარტამენტი მე-11 კორპუსში განთავსდა, ბატონი ბეჟანის ძალისხმევით, თსუ-სა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის დახმარებითა და ხელშეწყობით, დეპარტამენტის თანამშრომელთა თანადგომით, სასწავლო სივრცე თანამედროვე სახით მოეწყო.

ბატონ ბეჟანს კიდევ ბევრი საქმე დარჩა გასაკეთებელი, მოულოდნელი იყო მისი გარდაცვალება.

უნივერსიტეტზე უზომოდ შეყვარებული, პროფესიონალი, საქმისთვის თავდადებული, შრომისმოყვარე, პრინციპული, ყურადღებიანი პროფესორ ბეჟან თუთბერიძის სახელი დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების, აღზრდილების ხსოვნაში.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი გეოლოგიის დეპარტამენტი

ლევან დარბაიძის საჯარო ლექცია თემაზე – „დამოუკიდებელი მოსამართლის როლი სამართლებრივ სახელმწიფოში“

14 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური გაერთიანებაა „სივრცე 037“-ის მოწვევით უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლის, კავკასიის უნივერსიტეტის და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორის, სამართლის დოქტორის ლევან დარბაიძის საჯარო ლექცია გაიმართა თემაზე – „დამოუკიდებელი მოსამართლის როლი სამართლებრივ სახელმწიფოში“.

როგორც პროფესორი ლევან დარბაიძე აღნიშნავს: „ძალიან დიდია დამოუკიდებელი მოსამართლის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, დემოკრატიულ სახელმწიფოში, რადგან შეუძლებელია დემოკრატიის განვითარება დამოუკიდებელი და მიუკერძოებული სასამართლოს სისტემის გარეშე. დამოუკიდებელი სასამართლო, ზოგადად, წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ინსტიტუტს იმ თვალსაზრისით, რომ ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს იმედი – როცა მივა სასამართლოში, იქ დახვდება პროფესიონალი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებული მოსამართლე, რომელიც დაეხმარება მას სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტაში. საერთოდ, როდესაც ვსაუბრობთ დამოუკიდებლობაზე, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ დამოუკიდებლობა წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ძირითადი უფლების სამართლიანი სასამართლოს უფლების კომპონენტს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, კერძოდ მე-6 მუხლი ადგენს, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, რომ მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებულმა მოსამართლემ. შესაბამისად, ეს ღირებულება არა მხოლოდ სახელმწიფოს და დემოკრატიის ნაწილია, არამედ ეს წარმოადგენს ადამიანის უფლებას, რაც უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დამოუკიდებელ სასამართლოს“.

პროფესორი ლევან დარბაიძე საუბრობს ინსტიტუციურ და ინდივიდუალურ დამოუკიდებლობაზე და ამბობს: „ინსტიტუციური დამოუკიდებლობა – ეს მთლიანად სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა – რა ინსტიტუციურ გარანტიებს შექმნის იმისათვის, რომ მოსამართლემ განახორციელოს ობიექტური, დამოუკიდებელი და სამართლიანი მართლმსაჯულება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან ინსტიტუციურ დამოუკიდებელობასთან ერთად ჩვენ უნდა ავირჩიოთ და თანამდებობაზე განვამწესოთ, ასე ვთქვათ, ინდივიდუალურად პიროვნულად დამოუკიდებელი ადამიანები. საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებიც თავისუფალი იქნებიან ყოველგვარი გავლენისგან, ყოველგვარი ზემოქმედებისგან და გამოიჩენენ მედეგობას, ასე ვთქვათ, სიმტკიცეს ნებისმიერი სხვადასხვა გამოვლინების მიმართ, რაც შეიძლება მის საქმიანობაში ჩარევას უკავშირდებოდეს“.

პროფესორს მოჰყავს ევროპის ქვეყნების და ამერიკის მაგალითი იმის კიდევ ერთხელ სადემონსტრაციოდ, რომ ყველა მნიშვნელოვანი სამართლებრივი თუ საზოგადოებრივი პრობლემა სახელმწიფოში, საბოლოოდ, წყდება დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ.

„მაგალითად, გავიხსენებდი ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების შედეგების პროტესტს. მახსოვს, იყო გარკვეული შეტევაც თეთრ სახლზე და ძალიან დიდი მღელვარება გამოიწვია ამან. საბოლოოდ, ეს პრობლემა გადაწყვიტა დამოუკიდებელმა სასამართლომ. სასამართლოს გადაწყვეტილებამ აბსოლუტურად დაამშვიდა საზოგადოება. სასამართლოს დასაბუთების და არგუმენტაციის ხარისხი იმდენად მაღალი იყო, რომ ეს იმ საზოგადოებამაც მიიღო, რომელიც არჩევნების შედეგებს არ ეთანხმებოდა. მეორე მაგალითია „ჯორჯ ფლოიდის საქმე“ – ესეც ამერიკაში მოხდა, როდესაც თეთრკანიანი პოლიციელი შავკანიან მოქალაქეს კისერზე ფეხს აჭერდა და გარდაიცვალა, სამწუხაროდ. ამას ძალიან დიდი მღელვარება მოჰყვა საზოგადოებაში – იყო გამოსვლები, რასაც ვანდალიზმის ფაქტებიც ახლდა, მაგრამ ეს ვნებათაღელვა სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილებამ ჩააცხრო: გაიმართა ამ საქმის გამჭვირვალე განხილვა და ნაფიცმა მსაჯულებმა გამოიტანეს სამართლიანი ვერდიქტი, შემდეგ მოსამართლემ დამნაშავეს სამართლიანი სასჯელი შეუფარდა და ამით საზოგადოება დამშვიდდა. დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ სახელმწიფომ, რომელსაც მტკიცედ აქვს არჩეული დემოკრატიული განვითარების კურსი, პირველ რიგში, უნდა იზრუნოს მაღალი საზოგადოებრივი ნდობით აღჭურვილი დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო სისტემის შექმნისათვის“, – განაცხადა ლევან დარბაიძემ.

თემები, რომელზეც საუბრობს, ნაწილია საგნისა – „სამოსამართლო ეთიკა“, რომელსაც პროფესორი სტუდენტებს უკითხავს და სასამართლოს დამოუკიდებლობის როლს ასწავლის მათ. ეს თემა დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც აქცენტი გადაგვაქვს ევროკომისიის რეკომენდაციაზე, რაც საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისანიჭებლად 12 პუნქტიანი გეგმის შესრულებას ითვალისწინებს. სწორედ ამ გეგმის ნაწილია სასამართლოს რეფორმა.

ღონისძიების ორგანიზატორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტს და სტუდენტური გაერთიანება „სივრცე 037“-ის წარმომადგენელს ნიკა

ლევან დარბაიძე

ტომასიანს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესორისა და გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლის ლევან დარბაიძის ლექციის მნიშვნელობა და ამბობს: „ჩვენთვის ძალიან ცნობილი და ცხადია, რომ დამოუკიდებელი მოსამართლის როლი სამართლებრივ სახელმწიფოში არის ფუნდამენტური, ვინაიდან სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი პრინციპები სწორედ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაზე გადის, სხვანაირად ვერ მოხდება ურთიერთბალანსი და შეკავების პოლიტიკა სახელმწიფო შტოებს შორის. შესაბამისად, მომავალი იურისტებისთვისაც მსგავსი ტიპის ღონისძიებები არის მნიშვნელოვანი, რადგან ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის გარეშე, დამოუკიდებელი იურისტების გარეშე ვერ აშენდება სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფო. შესაბამისად, მსგავსი ტიპის ღონისძიებების სიმრავლე განაპირობებს შემდგომში დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდას და სწორედ აღნიშნულს ემსახურება ეს ღონისძიებაც“.

დამსწრე აუდიტორიას წარმოადგენდნენ როგორც თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, ასევე, სხვა დაინტერესებული პირები, მათ შორის, პრაქტიკოსი იურისტებიც.

როგორც ჩვენთან საუბარში თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, პროფესორმა ირმა ხარშილაძემ განაცხადა, „თუ ჩვენ დღევანდელ გამოწვევებს შევეხებით, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკისა და მეცნიერების ერთად თანაარსებობა. ჩვენ ეხლა გვქონდა კიდევაც ციკლი – პრაქტიკის გამოწვევები: მრგვალი მაგიდა, დისკუსია – როგორი გამოწვევებია ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით პრაქტიკაში და როგორ აისახება ის თეორიაში. ამ ორი კომპონენტის ჰარმონიული თანაცხოვრება უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუნებრივია, რომ პრობლემები იქნება. ბატონი ლევანის საჯარო ლექციაც ამას ემსახურება, რომ თავად სასამართლოს როლიც იყოს მაღალი, უფრო მეტი კომუნიკაციაა საჭირო ახალგაზრდებთან, ასეთ საჯარო ლექციებს თავისი დადებითი კვალი „მოჰყვება“.

ქალბატონმა ირმა ხარშილაძემ თავისი საყვარელი ყოფილი სტუდენტი – ლევან დარბაიძე ასე დაახასიათა: „ლევანი ჩემი ერთ-ერთი გამორჩეული სტუდენტი იყო, მას ჰქონდა ძალიან მაღალი მოტივაცია იმისა, რომ დაეკავებინა ასეთი ღირსეული პოზიცია და ძალიან დიდი ინტერესი ჰქონდა თავიდანვე საჯარო სამართლის მიმართულებით. ბატონმა ლევანმა, ასევე, კარგი განათლება მიიღო სტუდენტობის პერიოდში, ის ამერიკაშიც იმყოფებოდა და იქიდან რომ ჩამოვიდა, გამაცნო – როგორი იყო იქ სწავლების მეთოდები, რა მოეწონა? იგი ყოველთვის მოტივირებული იყო იმისთვის, რომ სწავლების პროცესი, ასე ვთქვათ, თსუ-შიც კიდევ უფრო მეტად დახვეწილი ყოფილიყო. თავისი ბუნებით ის არის აქტიური და ყველგან, სადაც ის შემდგომ უკვე მსახურობდა, ყოველთვის ჩვენ გვქონდა აქტიური მეგობრობა, რადგან იურისპრუდენცია – ეს არის მთელი ცხოვრების თანამეგობრობა ჩვენი პროფესიიდან გამომდინარე“.

უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია

მთავარი სპეციალისტი
მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი
ეკა ბედიაშვილი

ჟურნალისტები:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი
თორნიკე ჩხეტიანი

კომპ. უზრუნველყოფა
მიხეილ თვარაძე

რედკოლეგიის წევრები:
მანანა შამილიშვილი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ირმა რატიანი,
ირინე დარჩია,
ვლადიმერ პაპავა,
ეთერ ხარაიშვილი,
ეკატერინე ფირცხალავა,
ნინო გაჩეჩილაძე,
თემურ ნადარეიშვილი,
ლელა ჯანაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გია ლობჟანიძე,
ნინო უგრეხელიძე,
მარინა სალუქვაძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62

ვებგვერდი:
tsu.media

ელ.ფოსტა:
nino.kakulia@tsu.ge

2017 წლის
1 ოქტომბრიდან
გადაცემა „უნი-ვერსია“
გადის რეგიონულ
ტელევიზიებში, რასაც
საქართველოს
რეგიონულ
მაუწყებელთა ასოციაცია
უზრუნველყოფს (თსუ-სა
და საქართველოს
რეგიონულ მაუწყებელ-
თა ასოციაციასთან
გაფორმებული მემო-
რანდუმის თანახმად).